ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

სამაგისტრო ნაშრომი თემაზე:

არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომა, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ფუნდამენტური პრინციპი და მისი პრაქტიკული მნიშვნელობა

სტუდენტი: ვახტანგი ხარებაშვილი

თემის სამეცნიერო ხელმძღვანელი: თსუ იურიდიული ფაკულტეტის

ასისტენტ პროფესორი, სამართლის დოქტორი ირინე ხერხეულიძე

თბილისი

2019

შინაარსი:

1. შესავალი 1

2. არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომის დანაშაულის პრევენციასთან მიმართების საკითხი 3

2.1 პრევენციის სხვადასხვა დონეების ხედვა და დანიშნულება 3

2.2 ინდივიდუალური პრევენციის ხედვა და დანიშნულება 8

3. არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომისა და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობის პრინციპის ურთიერთდაკავშირებულების საკითხი 11

3.1. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის მნიშვნელობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში 11

3.2 არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომა, როგორც არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის აშკარა გამოხატულება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში 14

4. არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომის პრინციპში არეკლილიარასრულწლოვნთა მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის მოანწილეობის პრინციპი 16

4.1. არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომა და ბავშვის უფლება იყოს მოსმენილი 16

4.2. არასრულწოვანი ბრალდებულის სასამართლოს წინაშე წარდგომის უნარის მხედველობაში მიღება არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომის პრინციპის გათვალისწინებით. 18

5. ინდივიდუალური მიდგომის პრინციპის რეალიზება ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში 21

5.1. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობა განრიდების ღონისძიების განსაზღვრისას 21

5.1.1. განრიდება/მედიაცა, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი. 21

5.1.2. ანგარიშის მომზადების სახელმძღვანელო პრინციპები 26

5.1.3. ანგარიშის მომზადების წესი, მიზანი 27

5.2. არასრულწლოვნის სასჯელის მიზნებში ასახული არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური 30

5.3. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობა სასჯელის დანიშვნისას .. 33

5.4. ინდივიდუალური შეფასების ანგარიში არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისას 37

5.5. ინდივიდუალური შეფასების ანგარიში საპატიმრო სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვისას 40

5.6. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის გამოყენების კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას..... 46

6. დასკვნა:..... 48

ბიბლიოგრაფია..... 50

1. შესავალი

ქართული სახელმწიფოს განვითარების ყველა ეტაპზე განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა არასრულწლოვანს, როგორც საზოგადოების მნიშვნელოვან წევრს. სახელმწიფოს მიერ ბავშვებისადმი დღეს არსებული განსაკუთრებული ჰუმანური დამოკიდებულება წლების განმავლობაში ყალიბდებოდა, რამაც საბოლოოდ შექმნა ის საერთაშორისო სამართლებრივი სივრცე და საკანონმდებებლო სტანდარტები, რაც არასრულწლოვნის ყველა კანონიერ უფლებას იცავს.[1]

არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის გლობალურ საჭიროებაზე, ერთობლივი სამოქმედეო მინიმალური სტანდარტების აუცილებლობაზე და მნიშვნელობაზე მეტყველებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1989 წელს მიღებული ბავშვთა უფლებათა კონვენცია და სხვა სამართლებრივი მექანიზმები, როგორებიცაა ე.წ. ,,პეკინური წესები", ,,რიადას სახელმძღვანელო პრინციპები", ,,ჰავანის წესები" და სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტები.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული კონსტიტუცია ითვალისწინებდა არასრულწლოვანთა უფლებრივ გარანტიებს, მაგალითად: იმ დროინდელი კონსტიტუციის 111-ე მუხლი ადგენდა: „სახელმწიფო მიზნად ისახავს პირველდაწყებით სკოლაში უღარიბეს ბავშვებს საზრდო, ჩასაცმელ-დასახური და სასწავლო ნივთები უფასოდ მისცეს. ამ მიზნის განსახორციელებლად სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობანი თავის შემოსავლის ერთ ნაწილს გადასდებენ ყოველ წლიურად". [2] აღნიშნული ნათელი მაგალითია იმისა, რომ კანონმდებელი ჯერ კიდევ მაშინ, მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა არასრულწლოვნის უფლებრივ სივრცეს და მისი დაცვის გარანტორადაც გამოდიოდა.

არასრულწლოვანის განსაკუთრებულობა განაპირობებს მის მიმართ მოპყრობის განსხვავებულ ხასიათს. პროფესორ მორის შალიკაშვილს ბავშვების „გარდატეხის ასაკზე" მსჯელობისას მაგალითად მოჰყავს მეცნიერული კვლევის შედეგები, რომლის თანახმადაც, მოზარდი ცდისპირები მათთვის ცდის დროს დაკისრებული ამოცანის შესრულებისას ტვინის იმ სფეროს მეშვეობით ახდენდნენ, რომელსაც „Amygdala" ჰქვია. ტვინის აღნიშნული სფერო გადაწყვეტილებების ემოციურად და სწრაფათ მიღებით

[1] იხ: ვაიკუნდი ურსინა, მართლმსაჯულება ბავშვებისათვის, საუნივერსიტეტო კურსი, საკითხავი მასალა სტუდენტებისათვის, გაეროს ბავშვთა ფონდი 2013 წელი, ლექცია 2 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ისტორიული განვითარება და თანამედროვე ტენდენციები.

[2] საქართველოს კონსტიტუცია 1921 წელი;
იხ.http://constcentre.gov.ge/failebi/1921_clis_konstitucia_33442.pdf (ბოლო ნახვა 16/04/2019)

გამოირჩევა. [3] არასრულწლოვნის მიმართ მოქმედი სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა არ უნდა იყოს სრულწლოვანთა მიმართ მოქმედი სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის იდენტური.[4]

თამამად შეიძლება ითქვას, რომ პარლამენტის მიერ მიღებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი (შემდგომში ამკ), თანამედროვე ქართულ საკანონმდებლო სივრცეში მოქმედი უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი აქტია. ამკ-ის ერთ-ერთ ამოსავალ პრინციპს წარმოადგენს არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომა, რაც არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული მართლმსაჯულების ქვაკუთხედია-დაწყებული სახელმწიფოს მიერ არასრულწლოვანთან პირველი კონტაქტიდან, სამართალურთიერთობის დასრულებამდე.

არასრულწლოვნის მიმართ ინდივიდუალური მიდგომის პრინციპი არის ერთგვარი გარანტია, რომ არასრულწლოვნის საქმე, უპირატესად მისი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე იქნება განხილული. აღნიშნული პრინციპი თავის თავშივე გულისხმობს, რომ არასრულწლოვნის საქმის მწარმოებელი სუბიექტი, განსაკუთრერბული გულმოდგინებით მოეკიდება თავის წარმოებაში არსებულ საქმეს და დეტალურად შეისწავლის თითოეულ გარემოებას.[5]

იუვენალური იუსტიციის მნიშვნელოვანი ამოცანაა არასრულწლოვნის ქმედებასა და კანონის მოთხოვნას შორის წარმოშობილი დისონანსის მაქსიმალურად სწრაფად, ნაკლები ზიანითა და არასასურველი თანმდევი შედეგების გარეშე მოგვარება. ინდივიდუალური მიდგომის პრინციპი არასრულწლოვნის საქმის წარმმართველ სახელმწიფოს წარმომადგენლებს ვალდებულებას აკისრებს, რომ მათ თითოეული შემთხვევისას მხედველობაში მიიღონ არასრულწლოვნის პიროვნული მახასიათებლები და არასრულწლოვანთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები.[6]

ნაშრომში გააანალიზებული იქნება არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომის პრინციპის სხვა ძირეულ პრინციპებთან და დანაშაულის პრევენციასთან მიმართების საკითხები. განხილული იქნება არასრულწლოვნის საუკეთესო

---

[3]შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი 2016, გვ. 14.

[4]ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება კანონმდებლობის კვლევა, გაეროს ბავშვთა ფონდი 2017 წ. გვ. იხ.https://www.unicef.org/georgia/media/1481/file/Legislative%20Analysis%20GEO.pdf (ბოლო ნახვა (16/04/2019)

[5]შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრაზბურგი 2016, გვ. 87.

[6]ივანიძე მ., თოდუა ნ., ვარძელაშვილი ი., მახარობლიძე თ., არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, ,,გამომცემლობა მერიდიანი“ თბ., 2017, გვ. 33.

ინტერესებისა და არასრულწლოვნის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობის პრინციპის ურთიერთმიმართების მნიშვნელობა. დეტალურად იქნება გამოკვლეული ინდივიდუალური შეფასების ანგარიში, როგორც უმნიშვნელოვანესი პრაქტიკული მექანიზმი არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომის საკითხისას.

ნაშრომში განხილული იქნება არასრულწლოვნის მიმართ წარმოებული პროცესის შემდეგი სტადიები: არასრულწლოვნის მიმართ განრიდების გამოყენება, არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნა, არასრულწლოვნის მიმართ არასაპატიმრო სასჯელის აღსრულების თავისებურებანი. ყურადღება გამახვილდება არასრულწლოვნის სასჯელის დაგეგმვის თავისებურებაზე, არასრულწლოვნის პირობით ვადამდე განთავისუფლებაზე, განხილული იქნება არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თავისებურება. თითოეული ზემოთჩამოთვლილი ინსტიტუტი განხილული იქნება არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშთან კავშირში.

კვლევის მიზანია არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომის პრინციპის პრაქტიკული მნიშვნელობის ჩვენება, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ობიექტურად განხორციელების აუცილებელი პირობა. კვლევა განიხილავს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის გამოყენების შესაძლებლობას აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას. კვლევის დროს საკითხების სიღრმისეულად შესწავლის მიზნით გამოყენებული იქნება ანალიტიკური, შედარებითი, დედუქციური, ინდუქციური, სისტემური და ლოგიკური კვლევის მეთოდები. ნაშრომი საინტერესო იქნება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით დაინტერესებულ პირთათვის.

2. არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომის დანაშაულის პრევენციასთან მიმართების საკითხი

2.1 პრევენციის სხვადასხვა დონეების ხედვა და დანიშნულება

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიღების ერთ-ერთ მიზეზად, ისევე როგორც ეს საერთაშორისო დონეზეა მიღებული, სახელმწიფო არსებული კანონმდებლობის არასრულწლოვნის განსაკუთრებულ ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობასთან შეუსაბამობას ასახელებდა. კანონპროექტის ახსნა-განმარტებით ბარათში ასევე საუბარი იყო იმაზე, რომ არსებულ საკანონმდებლო ბაზას არ შეეძლო

პასუხი გაეცა აქტუალური გამოწვევებსათვის და არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის ეფექტური პრევენცია განეხორციელებინა.[7]

მნიშვნელოვანია განიმარტოს, ვის მიმართ და რა მიზნით ვრცელდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების იურისდიქცია. იმისათვის, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა აკმაყოფილებდეს ბავშვის უფლებათა კონვენციის მოთხოვნებს, იგი უნდა ვრცელდებოდეს ყველა ბავშვზე, რომელმაც, როგორც თვლიან, დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედება მისი დარღვევა ან აღიარებულია მის დამრღვევად და რომელმაც მიაღწია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს, მაგრამ არ მიუღწევია 18 წლის ასაკისათვის.[8] სახელმწიფოს მიერ დადგენილი მინიმალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი არ უნდა იყოს მერყევი. არ შეიძლება სისხლის სამართლის პასუხიმგებლობის ასაკის ზღვარი მცირდებოდეს მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებთან მიმართებით.

ქართულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი არაერთხელ შეიცვალა. 1918 წელს სისხლისასამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი 17 წელი იყო. მოგვიანებით 1924 წლის სსრ სისხლის სამართლის კოდექსით პასუხისმგებლობის ასაკი 16 წლით განისაზღვრა. 2000 წლის 1 იანვარს ამოქმედდა ახალი სისხლის სამართლის კოდექსი რომელმაც ყველა დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკად 14 წელი გამოაცხადა. 2007 წელს საკანონმდებლო ცვლილებებით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი 12 წლამდე შემცირდა კონკრეტულ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებზე.[9] საბოლოოდ 2010 წელს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილებები და სისხლისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი ყველა დანაშაულზე 14 წლით განისაზღვრა.[10]

პროფესორი მ. შალიკაშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ: „[... 12 წლის ასაკის ბავშვი გარდატეხის პერიოდში იმყოფება და სრულიად ჩამოუყალიბებელი ფსიქიკა აქვს, თითქმის შეუძლებელი ხდება მის მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში ზუსტად დადგინდეს ქმედების განზრახვა, ესე იგი „ინტელექტუალური და ნებელობითი ელემენტების“ ერთობლიობა დანაშაულის ჩადენის დროს“. [11] მართლაც,

---

[7]განმარტებითი ბარათი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პროექტზე, 2015, გვ. 55 იხ. https://factcheck.ge/wp-content/uploads/2015/06/file0012.pdf ბოლო ნახვა (17/04/2019)

[8]ქეროლინ ჰამილტონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, 2015წ. გვ. 24

[9] იხ: საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, 2010, https://matsne.gov.ge/ka/document/view/21268?publication=0

[10]შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრაზბურგი 2016, გვ. 129.

[11] იქვე, გვ. 121.

წარმოუდგენლად არასამართლიანია 12 წლის მოზარდს მოსთხოვო თვითკონტროლის ის სტანდარტი, რაც სრულწლოვან ადამიანს მოეთხოვება.

მარტოოდენ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსს არ შეუძლია არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის პრევენციის აბსოლუტური მასშტაბით განხორციელება. კოდექსის მიღებასთან ერთად აუცილებელი იყო სხვადასხვა ტიპის სოციალური, საგანმანათლებლო, ინფრასტრუქტურული და სპორტული პროექტების დაგეგმარება-განხორციელება, რათა ამკ-ის მიღებას რეალური შედეგები მოჰყოლოდა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსს შეუძლია არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის განმეორებით ჩადენის პრევენცია მოახდინოს, მაგრამ პირველად პრევენციაზე პრეტენზია მას ვერ ექნება.[12]

არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის შესახებ ზოგად მითითებებს იძლევა ე.წ. „რიადის სახელმძღვანელო პრინციპები", რომელშიც საუბარია გენერალური პრევენციის განხორციელებისათვის საჭირო სახელმწიფოებრივ კომპლექსურ ღონისძიებებზე; რომლის დროსაც სახელმწიფო, საზოგადოება, სკოლა, მასმედია და ოჯახი თანაბრად არიან ჩართულნი პროცესში. თავდაპირველად აუცილებელია პრობლემის აღმოჩენა, ხოლო შემდეგ სხვადასხვა ტიპის სოციალური ღონისძიებების დაგეგმარება და მათზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.[13]

2015 წელს შემუშავებული დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის თანახმად: „სტრატეგიის მიზანია ერთიანი ეროვნული პრევენციული პოლიტიკის ჩამოყალიბება, ეფექტიანი პრევენციული ღონისძიებების გატარების გზით სახელმწიფოში არსებული არასრულწლოვანთა დანაშაულის შემცირება, აგრეთვე კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რეაბილიტაცია და საზოგადოებაში რეინტეგრაცია".[14] ჯერ კიდევ 2012 წელს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შეიქმნა დანაშაულის პრევენციის ცენტრი, რომლის მიზანიც დანაშაულის პრევენციასთან დაკავშირებული პირველადი ღონისძიებების გატარება, რისკ ჯგუფებთან მუშაობა და დანაშაულის რეციდივის თავიდან აცილებაა.[15]

---

[12]ხერხეულიძე ი. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში არსებული პრევენციის დონეები და შერჩეული ინტერვენციების ეფექტურობა,თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტი , ჟურნალი: სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები 2017 წ. N1 გვ. 32.

[13]United Nations Guidelines for the Prevention of Juvenile Delinquency (THE RIYADH GUIDELINES) 45/112 იხ: https://www.un.org/documents/ga/res/45/a45r112.htm ბოლო ნახვა (17/04/2019)

[14]სისხლის სამართლის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგია 2015 წ. გვ. 2.

[15]სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის მიზანი, 2012. იხ: http://prevention.gov.ge/page/4/geo ბოლო ნახვა (17/04/2019)

დანაშაულის პრევენციის ცენტრი არასრულწლოვანთა დანაშაულის ზოგადი პრევენციის მიმართულებით მუშაობისას პირველი და მეორე დონის პრევენციულ პროგრამებს ახორციელებს. პრევენციის პირველ დონეს სამი ძირითადი სტრატეგიული მიმართულება აქვს ესენია: ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, მოსახლობის განვითარება, სამოქალაქო სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება. სტრატეგიული მიზნის მისაღწევადსხვადასხვა ტიპის პროექტები („ლიდერთა სახლი", ,,მოხალისე" და სხვ.) ხორციელდება, ხოლო პროგრამების სამიზნე ჯგუფს 14-21 წლის ახალგაზრდები წარმოადგენენ. აღნიშნული პროგრამების ფარგლებში არასრულწლოვნებს შესაძლებლობა აქვთ, მიიღონ არაფორმალური განათლება, აიმაღლონ სამართლებრივი თვითშეგნება, გამოიმუშაონ გუნდური მუშაობის უნარები, დაეხმარონ სხვა ადამიანებს. პროექტები კარგ პლაცდარმს ქმნის, რომ მოზარდები სკოლის შემდგომ საათებში სოციალური აქტივობებით დაკავდნენ, რაც მათი აქტიური მოქალაქეებად ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვან წინაპირობასწარმოადგენს. სახელმწიფოს მხრიდან არასრულწლოვნისადმი შედარებით მსუბუქი მოპყრობა ამცირებს არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის ჩადენის რისკს.[16]

დანაშაულის პრევენციის ცენტრი ასევე ახორციელებს პროექტებს, რომლებიც უპირატესად მიმართულია რისკ ჯგუფებს მიკუთვნებული არასრულწლოვნებისადმი, რაც კონკრეტულად გულისხმობს ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნას, საჭიროების კვლევას, რისკის ქვეშ მყოფ ჯგუფს მიკუთვნებული არასრულწლოვნის ოჯახის წევრებთან მუშაობას. შესაბამის რისკ ჯგუფებში მოქცეული არასრულწლოვნების მიმართ ხორციელდება ახალგაზრდული კლუბის პროგრამა რომლის ფარგლებშიც 12-დან 21 წლამდე ახალგაზრდებს შესაძლებლობა აქვთ უფასოდ ჩაერთონ სპორტულ კულტურულ, საგანმანათლებლო, შემეცნებით აქტივობებში; ასევე დაესწრონ არაფორმალური განათლების ტრენინგებს.[17]

,,მეორე დონის პრევენცია, ორიენტირებულია დანაშაულის რისკის ქვეშ მყოფ არასრულწლოვნებზე და უზრუნველყოფს დანაშაულის გამომწვევი რისკ-ფაქტორების შემცირებას".[18]

დანაშაულთა რაოდენობით ჭრილში ქართულ რეალობაში ყოველთვის ჭარბობს საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, რაც შეიძლება აიხსნას ქვეყანაში

---

[16]შალიკაშვილი მ., ჩიხლაძე დ., „პირობით ვადამდე გასათავისუფლებელი მსჯავრდებულებისათვის რისკ-ფაქტორების შეფასების კრიმინოლოგიური ანალიზი", თბილისი/ბერლინი 2013 გვ 10-11.

[17]დანაშაულლის პრევენციის ცენტრის მეორე დონის სამმართველოს მისია იხ: http://prevention.gov.ge/page/2353/geo ბოლო ნახვა (17/04/2019)

[18]ხერხეულიძე ი., „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში არსებული პრევენციის დონეები და შერჩეული ინტერვენციების ეფექტურობა", ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტი ჟურნალი, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები 2017 წ. N1 გვ. 36.

არსებული მძიმე ეკონომიკურ-სოციალური გარემოს არსებობით. [19] სტატისტიკური მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ არასრულწლოვნების მიერ ყველაზე ხშირია ქურდობის, ძარცვისა და ყაჩაღობის დანაშაულების ჩადენა. დანაშაულის გამომწვევი მიზეზების გამოკვლევა შეუძლებელია არასრულწლოვანთან დაკავშირებული რისკ ფაქტორების გამოკვლევის გარეშე, მათგან თანაბრად მნიშვნელოვანია როგორც ინდივიდუალური ანუ პერსონალური რისკ-ფაქტორები, ასევე სოციალური და საზოგადოებრივი რისკ-ფაქტორები.[20]

ინიდვიდუალურ რისკ-ფაქტორებში იგულისხმება პირის იმპულსურობა, ინტელექტუალური შესაძლებლობები, ბიოლოგიური და გენეტიკური ფაქტორები, სოციალურ რისკ ფაქტორებში - სკოლა, ოჯახი, თანატოლებთან ურთიერთობა. [21] სოციალურ რისკ-ფაქტორებში სკოლასთან ერთად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არასრულწლოვნის სრულფასოვან ოჯახში აღზრდას. არასრულწლოვანი, რომელიც მზრუნველ ოჯახში იზრდება და გააჩნია მშობლების სიყვარული, ნაკლები საზოგადოებრივი საფრთხის წყაროდ შეიძლება იქნეს მიჩნეული, თუმცა სრულყოფილი ოჯახური გარემო არასრულწლოვნის კანონმორჩილობის გარანტიას არ ქმნის.

არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომის სწორად განხორციელება მნიშვნელოვანია, როგორც არასრულწლოვნის მიმართ წარმოებული სისხლისსამართლის პროცესისას, ასევე დანაშაულებრივი ფაქტის დადგომამდეც. დანაშაულის ზოგადი პრევენცია შეუძლებელია ხელისუფლებისა და საზოგადოების ერთობლივი ჩართულობის გარეშე. აუცილებელია არსებობდეს არასრულწლოვნის ინტერესებზე მორგებული მთელი რიგი საზოგადოებრივი, სპორტულ-კულტურული ღონისძიებები, რომლებშიც ჩართულობა არასრულწლოვნებს ადრეული ასაკიდან დაევალებათ.

იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთი მეცნიერი ბავშვის შესაძლო კრიმინალურ მომავალს მისი (ბავშვის) პიროვნების შეფასების შემდეგ 6 წლის ასაკიდან თვლიდა

---

[19]საერთო სასამართლოების ძირითადი სტატისტიკური მონაცემები 2008-2019 წ. იხ:http://www.supremecourt.ge/statistics/ ბოლო ნახვა (17/04/2019)

[20]ხერხეულიძე ი., „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში არსებული პრევენციის დონეები და შერჩეული ინტერვენციების ეფექტურობა“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტი ჟურნალი: სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები 2017 წ. N1 გვ. 38.

[21]ივანიძე მ., „არასრულწლოვანი და მისი საუკეთესო ინტერესები“, არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, ,,გამომცემლობა მერიდიანი“ თბ., 2017, გვ. 29.

შესაძლებელს, დანაშაულის პრევენციის საკითხში აშკარად იკვეთება სკოლამდელი აღზრდის მნიშვნელოვანი როლი.[22]

პირველი და მეორე დონის პროგრამის მაგალითებად შესაძლებელია მოტანილ იქნეს ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედი არაერთი სოციალური პროექტი, რომელთაც ამერიკელები დანაშაულის პრევენციის მიზნებისთვის იყენებენ. [23] თითოეული მათგანი მიმართულია არასრულწლოვანთა და მშობელთა კონკრეტული ჯგუფის მიმართ. პროგრამები დაყოფილია კონკრეტული კატეგორიის დანაშაულების (მაგალითად სქესობრივი დანაშაულის თავიდან არიდებისათვის - (safe dates). რთული ყოფაქცევის ბავშვების ქცევის გამოსწორებისა და დანაშაულის თავის არიდებისათვის თანაბრად არიან ჩართული ოჯახის წევრები, არასრულწლოვნები და პროგრამის განმახორციელებლები. პროგრამამ, PFS, კონკრეტული დადებითი შედეგებიც გამოიღო, რაც არასრულწლოვანთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობაში, ნაკლები ალკოჰოლისა და ნარკოტიკული საშუალებების მიღებაში გამოიხატა.[24]

2.2 ინდივიდუალური პრევენციის ხედვა და დანიშნულება

„ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მე-40 მუხლის პირველი ნაწილი სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, რომ სისხლის სამართლის კანონის მოთხოვნების დარღვევაში ბრალდებული ბავშვის ან სისხლის სამართლის კანონის დამრღვევი ბავშვის მიმართ, სახელმწიფომ, განახორციელოს იმგვარი მოპყრობა, რომელიც ბავშვში ღირსების და პიროვნული მნიშვნელობის გრძნობის განვითარებას შეუწყობს ხელს. ამავდროულად მნიშვნელოვანია, რომ პასუხისმგებელი ორგანოების მიერ არასრულწლოვნისადმი დამოკიდებულება არასრულწლოვანს ადამიანების უფლებებისადმი პატივისცემის გრძნობას უნერგავდეს. „მნიშვნელოვანია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობა შეიცავდეს ისეთ თავებს ან მუხლებს, რომლებშიც მკაფიოდ იქნება ჩამოყალიბებული, რომ დამნაშავედ ცნობილ ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედების მიზანი უნდა იყოს ბავშვის რეინტეგრაცია“. [25] სახელმწიფოს მხრიდან ჩარევისას, აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული არასრულწლოვნის ასაკი და სხვა პიროვნული მახასიათებლები. ამავდროულად, არასრულწლოვნის მიმართ განხორციელებული ღონისძიებები მის

---

[22]შალიკაშვილი მ., ჩიხლაძე დ., „პირობით ვადამდე გასათავისუფლებელი მსჯავრდებულებისათვის რისკ-ფაქტორების შეფასების კრიმინოლოგიური ანალიზი“, თბილისი/ბერლინი 2013 გვ. 17.

[23]მაგალითისათვის, Functional Family Therapy (FFT) ; Family Matters; Positive Family Support (PFS); Safe Dates; იხ:https://www.ojjdp.gov/MPG/Topic/Details/79

[24]Delinquency prevention/ effective programs იხ:https://www.ojjdp.gov/MPG/Topic/Details/79 ბოლო ნახვა: (19/04/2019)

[25]ქეროლინ ჰამილტონი, „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები“, 2015წ. გვ. 44.

საზოგადოებაში რეინტეგრაციის მიზანს უნდა ემსახურებოდეს. სახელმწიფოს ჩარევის ინტენსივობა და მასშტაბი ახალი დანაშაულის თავიდან აცილების, კანონდამრღვევი არასრულწლოვნის საზოგადოებაში ღირსეულად დაბრუნების რეალურ გარანტიებს უნდა შეიცავდეს.[26]

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულების საჭიროებაზე მსჯელობს თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია N1გ/178-15განჩინებაში, რომელშიც განიმარტა, რომ: „სასამართლომ და სამართალდამცავმა ორგანოებმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინონ ის, რომ არასრულწლოვანი საზოგადოების ჯგუფის წევრს წარმოადგენს, მისი განვითარება დამოკიდებულია ქვეყნის სოციალურ, კულტურულ, საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე და მათი ზეგავლენის ერთგვარი შედეგია, ხოლო თავად არასრულწლოვანი ძალიან მგრძნობიარეა მის გარშემო არსებული ემოციური კლიმატის და მიმდინარე მოვლენების მიმართ.ზოგადად არაასრულწლოვან კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებს, გამონაკლისის გარდა, სრულწლოვან დამნაშავეთაგან განსხვავებით, არ შეუძლიათ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათის და ხარსიხის მთლიანად სრულყოფილად გაცნობიერება, რაც ზოგიერთი მოზარდის მცირე ასაკის ან არასაკმარისი ინტელექტუალური მომზადების ან გამოუცდელობასთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სახელმწიფომ პოზიტიური როლი ითამაშოს არასრულწლოვანი კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების ხელახალი აღზრდისთვის ხელის შეწყობასა და მათი რესოციალიზაციის მიზნით“.[27]

ინდივიდუალური პრევენციის მნიშვნელობის დეკლარირებას ახდენს ამკ-ის მე-2 მუხლი, რომელიც ადგენს: „კოდექსის მიზანია კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია“. აღნიშნულმა მიზანმა ამკ-ის მთელ რიგ მუხლებში ჰპოვა ასახვა ამავე დროს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ერთ-ერთ ქვაკუთხედადაა ქცეული ყველაზე მსუბუქი საშუალებისა და ალტერნატიული ზომის გამოყენების პრიორიტეტულობის პრინციპი. ამკ-ის მე-8 მუხლისმე-2 ნაწილი ადგენს: „არასრულწლოვნის მიმართ, პირველ რიგში, განიხილება განრიდების ან აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობა“. აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიება - „ესაა ღონისძიება, რომელიც კანონთთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს საშუალებას

[26]სისხლის სამართლის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო 2016 წელი
[27]თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2015 წლის 25 თებერვლის განჩინება N1გ/178-15

აძლევს გააცნობიეროს ჩადენილი ქმედებისათვის საკუთარი პასუხისმგებლობა, გამოასწოროს შედეგები, აანაზღაუროს ზიანი ან/და შეურიგდეს დაზარალებულს.[28]

ინდივიდუალური პრევენციისას, განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკის შემცირების მნშვნელოვან ბერკეტად მოიაზრება პროკურორის დისკრეცია სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებასთან დაკავშირებით. ეროვნული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა პროკურორს ანიჭებს უფლებამოსილებას, რომლის თანახმადაც, მას საკუთარი შეხედულებისამებრ შეუძლია კონკრეტული საქმის ფაქტობრივი და მატერიალური საფუძვლების შეფასების შემდეგ დაიწყოს ან შეწყვიტოს დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა. ამავდროულად, პროკურის უფლებამოსილება არ არის აბსოლიტური. პროკურორის თითოეული გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით, პირველ რიგში, არასრულწლოვნის კერძო და სახელმწიფოებრივი ინტერესების შეჯერების შედეგად უნდა იყოს მიღებული, რა დროსაც არასრულწლოვნის ინტერესები ყოველთვის უპირატესი იქნება.

სახელმწიფოს მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების პოლიტიკის დასტურია კომპეტენტური ორგანოს მიერ წარმოდგენილი ანგარიში, რომლის თანახმადაც, არამარტო პირდაპირი მათემატიკური რაოდენობითაა გაზრდილი არასრულწლოვნების მიმართ გამოყენებული განრიდებათა რაოდენობა, არამედ, შეცვლილია სახელმწიფო პოლიტიკაც და პროკურატურა, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე თითქმის ყოველთვის აქტიურადაა ჩართული არასრულწლოვნისათვის ,,მეორე შანსის“- განრიდების პროგრამაში ჩართვისა და მისი ბენეფიტებით სარგებლობის შესაძლებლობის მინიჭებაში.[29]

„დანაშაულის პრევენციული მექანიზმები თავისთავად არ ამცირებენ დანაშაულს და ისინი ეფექტიანად მოქმედებენ მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაბამისი მექანიზმები მიესადაგება კონკრეტულ სოციალურ სიტუაციას, რომელშიც სხვადასხვა კონტექსტუალური ფაქტორები წყვეტენ - ექნება თუ არა გამოყენებულ ზომებს სასურველი შედეგი. სწორედ ამიტომ, გამოყენებულ საშუალებას (ზომას) შეიძლება უდიდესი ეფექტი ჰქონდეს ერთი ადამიანისთვის ან პირთა ჯგუფისთვის, მაგრამ არა მეორე ჯგუფისთვის“. [30] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, რაც ეფექტური იუვენალური

---

[28]თოდუა ნ., „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“, (მეორე გამოცემა) ავტორთა კოლექტივი, გამომცემლობა: „მერიდიანი“, თბილისი 2016 წ.

[29]გენერალური პროკურორის ანგარიში 06/02/2018 გვ. 22 იხ:
http://pc.gov.ge/Multimedia%2FFiles%2F%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%2F%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%206.02.2018.pdf
ბოლო ნახვა (19/04/2019)

[30] TORE BJQORGO, PREVENTING CRIME: A HOLISTIC APPROACH, EDITION: 1, 2016 გვ. 33.

მართლმსაჯულების სისტემის შექმნისათვის აუცილებელი კომპონენტია. ამავდროულად, გასათვალისწინებელია ჩვენი სახელმწიფოს ისტორიული მემკვიდრეობა, არსებული ეკონომიკური/სოციალური ვითარება და ოჯახის ინსტიტუტის სიძლიერის დონე.

3. არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომისა და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობის პრინციპის ურთიერთდაკავშირებულების საკითხი

3.1. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის მნიშვნელობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების უზენაეს პრინციპს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა წარმოადგენს. [31] ამკ-ით დეკლარირებული არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი არასრულწლოვანთა უფლებების დასაცავად შექმნილი საერთაშორისო აქტების ქვაკუდხედია. მართლაც, ლოგიკურია, როდესაც სახელმწიფო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების უპირატეს პრინციპად არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორორიტეტულობას აღიარებს, რადგან ასეთის არ აღიარების შემთხვევაში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების არაპრიორიტეტულობისას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების იდეა იმთავითვე აბსურდული იქნებოდა.

ბავშვთა უფლებათ კონვენციის მე-3 მუხლი ადგენს: „ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას“.

„[..ბავშვის ყველაზე საუკეთესო ინტერესების დაცვა ნიშნავს იმას, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ისეთი ტრადიციული მიზნები, როგორიცაა დამნაშავის დასჯა, დანაშაულის ჩამდენი ბავშვებისათვის უნდა შეიცვალოს რეაბილიტაციისა და აღდგენითი მართლმსაჯულების მიზნებით. აღნიშნულის მიღწევა

[31]თოდუა ნ., "სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, (მეორე გამოცემა) ავტორთა კოლექტივი, გამომცემლობა: ,,მერიდიანი“, თბილისი 2016 წელი გვ. 658

შესაძლებელია საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე ყურადღების გამახვილების პარალელურად.“[32]

ევროპის საბჭოს მინისტერიალისას ბავშვთა უფლებების სტრატეგიაში პირდაპირ გაიწერა, რომ ბავშვთა მიმართ კეთილგანწყობილმა მართლმსაჯულების სისტემამ უნდა უზრუნველყოს შემდეგი: ,,ყველა ქმედებაში, რომელიც ბავშვებს ეხება და მიუხედავად იმისა ეს ხორციელდება საჯარო თუ კერძო სოციალური კეთილდღეობის ორგანიზაციის მიერ, სასამართლოს, ადმინისტრაციული ორგანოების თუ საკანონმდებლო პირების მიერ, ბავშვის საუკეთესო ინტერესი ყოველთვის პირველ რიგში უნდა იყოს გათვალისწინებული“.[33]

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება არასრულწლოვნებისადმი ჰუმანური და შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკის ნაწილია. არასრულწლოვანი არის პროცესის მთავარი მონაწილე, მის გარეშე არ არსებობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, ვიწრო გაგებით. თუკი დანაშაულის პრევენციის ზოგადი ხასიათის პროგრამებმა შედეგი ვერ გამოიღეს და არასრულწლოვანი მაინც გახდება სისხლის სამართლისათვის ,,საინტერესო“ სუბიექტი, იგი კვლავაც იმსახურებს განსხვავებულ, მის ინტერესებზე მორგებულ მართლმსაჯულებას, ვინაიდან იგი მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინებით არ უნდა დაექვემდებაროს საერთო სისხლისსამართლებრივ პოლიტიკას.[34]

და მაინც რა არის არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები ან რა შეიძლება იქნეს მიჩნეული ამგვარ ინტერესად? ამკ-ის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილი ადგენს: ,,არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები არის არასრსულწლოვნის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და სხვა ინტერესები, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებისა და არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით განისაზღვრება“. თითოეული პრაქტიკული შემთხვევისას დამოუკიდებლად უნდა გადაწყდეს თუ რა არის არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი და შესაბამისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისაკენ უნდა იქნეს მიმართული სახელმწიფოს რესურსი.[35]

---

[32] ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N10 (2007), პუნქტი 10.

[33]ევროპის საბჭოს სტრატეგია ბავშვთა უფლებების შესახებ (2016-2021) გვ. 14 იხ: https://www.moh.gov.ge/uploads/files/oldMoh/01_GEO/socialuri_dacva/Bavshvta-STRA/GE1.pdf ბოლო ნახვა (20/04/2019)

[34]თოდუა ნ., „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“, (მეორე გამოცემა) ავტორთა კოლექტივი, გამომცემლობა: ,,მერიდიანი“, თბილისი 2016 წელი გვ. 659.

[35] ვარძელაშვილი ი. „არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უმნიშვნელოვანესი პრინციპის მნიშვნელობა

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის მნიშვნელობა რამდენიმე კონტექსტით შეიძლება იქნეს ახსნილი. პირველი საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა, როგორც ცალკეული მუხლების განმარტებისათვის სახელმძღვანელო პრინციპი, რაც გადაწყვეტილების მიმღები პირის მიერ კანონმდებლობაში არსებული ბუნდოვანებების არასრულწლოვნის სასარგებლოდ გადაწყვეტას გულისხმობს. [36] მე-2 საუკეთესო - ინტერესების პრიორიტეტულობა, როგორც სახელმძღვანელო პრინციპი კონკრეტულ უფლებათა შორის წინააღმდეგობის არსებობისას, რაც არასრულწლოვნთა უფლებების კოლიზიის საკითხს აწესრიგებს არასრულწლოვნისათვის უფრო მეტად სასარგებლო გადაწყვეტილებისათვის მხარდაჭერის გზით. [37] მე-3 არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონშემოქმედებითი საქმიანობის მთავარი მოტივატორი.[38]

უდავოა, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მომწესრიგებელი ყველა ნორმა ბავშვთა საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპზე უნდა იყოს აგებული. თუმცა, პროფესორი შალიკაშვილი სამართლიანად შენიშნავს, რომ ამკ-ის ცალკეული მუხლები არ პასუხობენ არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის მოთხოვნას. ის ეჭვქვეშ აყენებს, ამკ-ის 35-ე (არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობიდან გათავისუფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო) და 36-ე (არასრულწლოვნის სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებას გამამტყუნებელი განაჩენის ხანდაზმულობის გამო) მუხლებში არასრულოვანთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებულობის საკითხს. პროფესორი აღნიშნავს, რომ იმ არასრულწლოვნებს, რომლებიც საკუთარ ქცევას უკეთესობისკენ შეცვლიან, საზოგადოებაში ღირსეულად დაბრუნდებიან და ახალ ცხოვრებას დაიწყებენ, შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან და სასჯელის მოხდისაგან ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე გათავისუფლდნენ. პროფესორის რეკომენდაციით, ამკ-ის 35-ე და 36-ე მუხლებს უნდა დაემატოს ე) ქვეპუნქტები, რომლებიც ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე შესაძლებელს გახდის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობიდან არასრულწლოვნის განთავისუფლებას თუკი ამას მისი საუკეთესო ინტერესი ითვალისწინებს; ასევე 36-ე მუხლისათვის ე) ქვეპუნქტის დამატებას რაც შექმნის სამართლებრივ ბერკეტს, რაც შესაძლებელს გახდის ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე გამამტყუნებელი განაჩენის მოხდისაგან არასრულწლოვნის გათავისუფლებას თუ ამას

სასამართლო პრაქტიკაში“, ჟურნალი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“ N1 2017 წ, გვ. 71.

[36]შეყილაძე ხ. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის არსი, თსუ, იურიდიული ფაკულტეტი , სამართლის ჟურნალი N2 2016 , უნივერსიტეტის გამოცემა. გვ. 272.

[37]იქვე გვ. 273

[38]იქვე გვ. 273

მოითხოვს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი.[39] მიმაჩნია, რომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი ამკ-ის უკლებლივ ყველა მუხლში უნდა აისახოს. ამკ-ის 35-ე და 36-ე მუხლებში პროფესორი შალიკაშვილის არგუმენტების გათვალისწინება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების დახვეწისაკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება.

3.2 არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომა, როგორც არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის აშკარა გამოხატულება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში

ბავშვთა უფლებათა კონვენციის პირველი მუხლის თანახმად: „ბავშვად ითვლება 18 წლამდე ასაკის ყველა ადამიანი, თუკი რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით ბავშვი უფრო ადრე არ აღწევს სრულწლოვანებას“. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკი საქართველოში 14 წელია. 14-დან 18-წლამდე პირების მიმართ ამკ-ით დადგენილი წესების დაცვით ხდება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, მისი ფართო გაგებით, შესაძლებელია მოიაზრებოდეს სახელმწიფოსა და არასრულწლოვანს შორის არსებული ურთიერთობა, რაც მოიცავს, როგორც დანაშაულამდე პერიოდს, ასევე უშუალოდ სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების მსვლელობის ეტაპს და სისხლისსამართლებრივი პროცესის დასრულების ეტაპს.

მნიშვნელობა არა აქვს რა მოცემულობითა და შედეგით დასრულდა არასრულწლოვნის საქმე. სახელმწიფოს მაინც წარმოეშობა არასრულწლოვანის მიმართ განსხვავებული მიდგომის ვალდებულება. როგორც პროფესორი მ. შალიკაშვილი აღნიშნავს: „სასჯელის აღსრულების შემდგომი ზრუნვა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის (2010)[1] რეკომენდაციაში გათავისუფლების შემდგომ თანადგომად არის მოხსენიებული“.[40]

მაგალითად, ამკ-ის 99-ე მუხლი არეგულირებს პირობითი მსჯავრისა და სასჯელის მოხდის შემდეგ არასრულწლოვნის მხარდაჭერისა და ზედამხედველობის საკითხებს, რაც არასრულწლოვანზე მეთვალყურეობას, მის პრაქტიკულ და ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას, გულისხმობს. პროცესში ჩართულები არიან, როგორც კანონიერი წარმომადგენელი ან/და მზრუნველობისა და მეურვეობის ორგანოები (ასეთის საჭიროების შემთხვევაში), ასევე დანაშაულის პრევენციის ცენტრი. ეს უკანასკნელი: ,,კოორდიანაციას უწევს არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის გეგმის შესრულებას პირობითი მსჯავრის და საჯელის მოხდიდან სულ მცირე 6 თვის განმავლობაში“. ეს მიდგომა, რა თქმა უნდა, არასრულწლოვნის

---

[39]შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი 2016, გვ. 74.
[40]იქვე, გვ. 252.

საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარეობს. ვინაიდან, არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის გეგმა მის პიროვნულ მახასიათებლებზე დაყრდნობით სასჯელის მოხდისისას მისი ქცევისა და პიროვნების შეფასების შედეგად დგება. დანაშაულის პრევენციის ცენტრი ასევე აქტიურადაა ჩართული არასრულწლოვნის გათავისუფლებისთვის მზადების ეტაპზე.[41]

მნიშვნელოვანია, რომ არასრულწლოვნის მიმართ სახელმწიფოს მხრიდან გამოყენებული სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიებები მაქსიმალურად მსუბუქი, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებზე მორგებული იყოს, არ ითვალისწინებდეს არასრულწლოვნისადმი თავისუფლების აღმკვეთი ღონისძიებების გამოყენებას. 18- დან 21 წლამდე ასაკი არის ის დრო, როდესაც არასრულწლოვანი ბავშვი პიროვნებად ყალიბდება, თუკი ის ამ დროს არაგონივრულად მკაცრ ზემოქმედებას დაექვემდებარება შესაძლებელია მასში კრიმინალური მენტალიტეტი გაღვივდეს და მისი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის შანსი ნულამდე დავიდეს.[42] სახელმწიფოს მიერ არასრულწლოვნისადმი მიდგომა კომპლექსური, დაგეგმილი და შედეგზე ორიენტირებული უნდა იყოს. მნიშვნელოვანია, რომ ერთი მხრივ, კანონის დამრღვევმა არასრულწლოვანმა სახელმწიფოსაგან მიიღოს პასუხი მის უკანონობაზე და მეორე მხრივ სახელმწიფოს პასუხი არ იყოს ახალი დანაშაულის ჩადენის მაპროვოცირებელი.

ამკ-მა მრავალი პრაქტიკული უფლების რეალიზების საშუალება მოახდინა, როგორც არასრულწლოვანთათვის ასევე 21 წლამდე პირებისათვის. მნიშვნელოვანია უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობის შესაძლებლობის მინიჭება, როგორც არასრულწლოვანი კანონთან კონფლიქტში მყოფი პირისათვის, ასევე არასრულწლოვანი დაზარალებულისათვის. მართალია არასრუწლოვანთა მართლმსაჯულებაში უშუალო ზემოქმედება ხორციელდება კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანზე მაგრამ, ასევე მნიშვნელოვანია მეორეული და ხელახალი ვიქტიმიზაციის არ დაშვება. ამ მხრივ გასათვალისწინებელია ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 25 ოქტომბრის დირექტივა 2012/29/EU. მსხვერპლთა დაცვის მინიმალური სტანდარტების თაობაზე.[43]

ამკ-ის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილით კანონმდებელმა სასამართლოს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმის პრიორიტეტულად განხილვის ვალდებულება დააკისრა. როგორც პროფესორი შალიკაშვილი აღნიშნავს: „გერმანულ

---

[41]იქვე, გვ. 253.
[42]იქვე, გვ. 256.
[43]კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებული საერთაშორისო და ევროპული საკანონმდებლო ჩარჩო. ჯანდაცვის ეროვნული ფონდი.გვ. 16. იხ: http://phf.org.ge/uploads/publications/5c861293048a1.pdf ბოლო ნახვა (24/04/2019)

იურიდიულ ლიტერატურაში საუბარია არა „გაუმართლებელ გაჭიანურებაზე“ არამედ დაჩქარებულ პროცესზე საუბარი. მითუმეტეს, რომ პროცესის გაუმართლებელი გაჭიანურება არც სრულწლოვანი ბრალდებულის შემთხვევაში არის მისაღები”. [44] აღნიშნული ცალსახად წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან კიდევ ერთ კეთილ ჟესტსა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სწრაფად განხორციელებისათვის ხელის შემწყობი პირობის ამკ-ში ასახვას. რაც არასრულწლოვნის, როგორც განსხვავებული მიდგომის საჭიროების მქონე პირის ინტერესების დაცვის მიზნით არის განხორციელებული.[45]

არასრულწლოვნის საუკეთსო ინტერესებისა და არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომის პრინციპის გათვალისწინების შედეგად ხდება არასრულწლოვნისათვის სასჯელის დანიშვნა. ამკ-ის 75-ე მუხლი ადგენს: ,,არასრულწლოვნისათვის სასჯელის დანიშვნისას მოსამართლე, პირველ რიგში, ითვალისწინებს მის საუკეთესო ინტერესებს და ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს“. კანონმდებლის მიერ გაკეთებული ჩანაწერი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრინციპის პრაქტიკული რეალიზების საშუალებას იძლევა, რა დროსაც ასევე აქტიურად იქნება ინდივიდულაური შეფასების ანგარიში გამოყენებული.

4. არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომის პრინციპში არეკლილიარასრულწლოვნთა მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის მოანწილეობის პრინციპი

4.1. არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომა და ბავშვის უფლება იყოს მოსმენილი

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-12 მუხლი ადგენს: „მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების უნარის მქონე ბავშვის უფლებას, თავისუფლად გამოთქვას თავისი შეხედულებები ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მას ეხება, ამასთან ბავშვის შეხედულებებს სათანადო ყურადღება ეთმობა მისი ასაკისა და სიმწიფის შესაბამისად“. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი კი ბავშვს უფლებას ანიჭებს, რომ ის იყოს მოსმენილი. ბავშვთა უფლებათა კონვენციის მსგავსად ამკ-ის მე-10 მუხლში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგადი პრინციპის სახითაა

[44]შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი 2016, გვ. 84.

[45] ვარძელაშვილი ი., „არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უმნიშვნელოვანესი პრინციპის მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკაში“, ჟურნალი სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N1 2017 წ, გვ. 74.

გაწერილი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის მონაწილეობის უფლება. მე-10 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: ,,მას (არასრულწლოვანს) აქვს აგრეთვე უფლება, მოუსმინონ და გაითვალისწინონ მისი მოსაზრებები ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად“.

ქ. ჰამილტონი მიუთითებს რა, ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგად კომენტარ N12[79]-ზე და აღნიშნავს, რომ: „კომენტარი განსაკუთრებულად უსვამს ხაზს ბავშვის უფლებას, იყოს მოსმენილი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ყველა ეტაპზე და იზიარებს იმ თვალსაზრისს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილი ბავშვების ხმები უფრო და უფრო მნიშვნელოვან ძალას იძენს შესაბამისი ასპექტების გაუმჯობესების, რეფორმების და ბავშვთა უფლებების განხორციელების საკითხში“. [46] ,,რამდენიმე კვლევა უჩვენებს, რომ ბავშვებისთვის მნიშვნელოვანია, როცა მათ მოსაზრებებს უსმენენ იმ საქმის თაობაზე, რომელიც უშუალოთ მათ ეხებათ, მიუხედავად იმისა, რომ ნაკლებათ ერკვევიან კანონებსა და სამართალწარმოებაში“.[47]

იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს - ბავშვის უფლების იყოს მოსმენილი რეალიზება საჭიროა სწორად იქნეს დაგეგმილი მთლიანი პროცესი. დაგეგმვა გულისხმობს ხუთი აუცილებელი მოქმედების განხორციელებას, რაც შედეგზე პირდაპირპროპორციულად აისახება. ესენია, პირველი მომზადება, მე-2 განხილვა, მე-3 ბავშვის უნარის შეფასება მე-4 ინფორმაცია ბავშვის შეხედულებებისთვის მინიჭებული მნიშვნელობის შესახებ, მე-5 საჩივარი, გამოსწორების საშუალებები და კომპეტენცია.[48]

მომზადების ეტაპზე არასრულწლოვნის საქმის განმხილველმა პირებმა არასრულწლოვანს უნდა განუმარტონ, რომ მას აქვს აზრის გამოთქმის უფლება. მას უნდა განუმარტონ, რომ მის მიერ აზრის გამოთქმამ შესაძლებელია გადაწყვეტილების მიღებაზე იქონიოს გავლენა. აუცილებელია, რომ საქმის განმხილველი პირები დარწმუნდნენ, რომ არასრულწლოვანს ესმის მის მიერ აზრის გამოხტვის მნიშვნელობა და ითვალისწინებს მისი აზრის გამოხატვის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებასთან კავშირს. განხილვის ეტაპზე ,,ბავშვი უნდა დარწმუნდეს, რომ განხილვის ჩატარებაზე პასუხისმგებ უფროსს სურს მისი მოსმენა და სერიოზულად განიხილავს იმას, რაც ბავშვს სურს გამოთქვას“.[49]

---

[46]ქეროლინ ჰამილტონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, 2015წ. გვ. 40.

[47] სტეფანი რაჰი, აიდა ვეჯერსი, არასრულწლოვანთა სასამართლო პროცესში ბრალდებულთა მონაწილეობის პედაგოგიური პერსპექტივა, AIMJF-ის (ახალგაზრდულ და საოჯახო საქმეებზე სპეციალიზირებულ მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაცია)

[48]ნევნა ვუჩკოვიჩ შაჰოვიჩი, იააპ ე. დოეკი, ჟან ცერმატენი, „ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში“, თსუ, 2015. გვ. 127.

არასრულწლოვნის უფლება, იყოს მოსმენილი არ შეიძლება გახდეს არასრულწლოვანზე რაიმე ტიპის ზემოქმედების საფუძველი. არავინ არ შეიძლება აიძულოს არასრულწლოვანი, რომ მან ჩვენება მისცეს, როგორც საგამოძიებო ასევე სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებს.[50]

არასრულწლოვნის უფლება იყოს მოსმენილი არ შეიძლება განმარტებული იყოს როგორც აბსოლიტური. ის შეიძლება შეიზღუდოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამ უფლების შეუზღუდავობამ შესაძლოა არასრულწლოვნის ინტერესი მნიშვნელოვნად დააზიანოს.

ქართულ კანონმდებლობაში აღნიშნული უფლების შეზღუდვის პირდაპირი ჩანაწერი არ არსებობს, თუმცა არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენელს, არასრულწლოვნის უფლების დამცველ ადვოკატს, რომელიც სპეციალიზებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, აქვს იმის ბერკეტი, რომ არასრულწლოვანის მიერ აზრის გამოთქმა გარკვეულ ჩარჩოებში მოაქციოს. აღნიშნული შეზღუდვა მხოლოდ მაშინ უნდა იყოს განხორციელებული, როდესაც არსებობს რეალური საფრთხე იმისა, რომ არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლებიდან გამომდინარე, აზრის გამოთქმამ ინტერესის დაარღვევა გამოიწვიოს. ამ შემთხვევაში არ იგულისხმება საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემა, უფლების შეზღუდვა უფრო მაღალი სტანდარტის დამკვიდრების მიზნით ხდება.

,,იმ შემთხვევაში, თუ აზრის პირადად გამოთქმის უფლება არ შეესაბამება ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესებს, აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს მშობლების, მეურვეების ან სხვა იმ პირების მეშვეობით, რომლებსაც მათი პროფესიიდან ან ნდობაზე დამყარებული განსაკუთრებული ურთიერთობებიდან გამომდინარე შეუძლიათ ბავშვის მოსაზრებების ობიექტურად გადმოცემა“.[51]

4.2. არასრულწოვანი ბრალდებულის სასამართლოს წინაშე წარდგომის უნარის მხედველობაში მიღება არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომის პრინციპის გათვალისწინებით.

ამკ-ის თანახმად: „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის მონაწილეობით განხორციელებული ქმედება უნდა შეესაბამებოდეს მისი აღქმისა და გაგების უნარებს“. არასრულწლოვანს უფლება აქვს ესწრებოდეს მის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვის პროცესებს. არასრულწლოვნის სისხლის სამართლის საქმე დახურულ სასამართლო

[49]ქეროლინ ჰამილტონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, 2015წ. გვ. 40.

[50]იქვე, გვ. 40.
[51]იქვე, გვ. 41.

სხდომაზე წარმიმართება. სასამართლო სხდომების დახურვა სწორი მიდგომაა, რადგან შესაძლებელია არასრულწლოვანმა სასამართლო პროცესზე დამსწრეთა მხრიდან განიცადოს დამატებითი სტრესი და ზეწოლა. მიზანშეწნილი იქნება თუკი სასამართლო პროცესის დარბაზები მაქსიმალურად იქნება მორგებული არასრულწლოვანი ბრალდებულის ინტერესებზე. არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, რომ სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას ნებისმიერ დროს, დაუბრკოლებლად, დაამყაროს კომუნიკაცია მის ადვოკატთან/კანონიერ წარმომადგენელთან.[52]

„სასამართლოს წინაშე წარდგომის კომპეტენციის სამართლებრივი კონცეფცია გულისხმობს, რომ 1)ბრალდებულს შესწევს საკმარისი უნარი, გაიგოს სისხლის სამართლის საქმის წარმოება და გაიაზროს მისი მნიშვნელობა; 2) მას შეუძლია დახმარება გაუწიოს ადვოკატს დაცვაში; 3) შეუძლია გაიგოს რას ეუბნება მოსამართლე და ადეკვატურად იკონტაქტოს მოსამართლესთან/მოსამართლეებთან“.[53]

არასრულწლოვანი ბრალდებულის სასამართლოს წინაშე წარდგომა და საქმის მისი მონაწილეობით განხილვა დაკავშირებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის გაჭიანურების დაუშვებლობის პრინციპთან. როგორც პროფ. მ. შალიკაშვილი აღნიშნავს: ,,უმჯობესია არა გაჭიანურებაზე არამედ დაჩქარებულ პროცესზე საუბარი“.[54] პროფესორი არასრულწლოვნის მიმართ დაჩქარებულ მართლმსაჯულების დადებით მხარეებზე საუბრობს და იზიარებს შეხედულებას რომ, დაჩქარებული პროცესის დროს, ერთის მხრივ, აუცილებელია კანონთან კომფლიქტში მყოფმა მოზარდმა კარგათ გაითავისოს მის მიმართ წარმოდგენილი ბრალდების არსი და საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი დამოკიდებულება, მეორეს მხრივ უნდა მოხდეს ინდივიდუალური პრევენციის განხორციელება“.[55]

არასრულწლოვნის მიმართ წარმოებულ სწრაფ სისხლისსამართლის მართლმსაჯულებას აქვს, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. დადებითი მხარეებია მტკიცებულებათა სწრაფად შეგროვება, ახალი დანაშაულის ჩადენის რისკის შემცირება, შეფარდებული სასჯელის ეფექტურობა, ამავე დროს არასრულწლოვან ბრალდებულს ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ უწევს სასმართლო პროცესებზე დასწრება და მის საქმეზე გადაწყვეტილება პროცესის დაწყებიდან მცირე დროში მიიღება. დაჩქარებული პროცესის მთავარ ნაკლად გამოძიების შემჭიდროვებულ ვადაში წარმოება მიმაჩნია. იმისათვის, რომ არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ

---

[52] იქვე, გვ 41.

[53] სტეფანი რაჰი, აიდა ვეჯერსი, არასრულწლოვანთა სასამართლო პროცესში ბრალდებულთა მონაწილეობის პედაგოგიური პერსპექტივა, AIMJF-ის (ახალგაზრდულ და საოჯახო საქმეებზე სპეციალიზირებულ მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაცია)

[54]შალიკაშვილი მ. , მიქანაძე გ. , არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება , მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი 2016, გვ. 84.

[55]იქვე, გვ. 86.

სისხლისსამართლის საქმეზე გამოძიება/სასამართლო მართლმსაჯულება სწრაფად და ამავდროულად ეფექტიანად წარიმართოს, აუცილებელია, ამ მხრივ მიმართული სახელმწიფო რესურსისა და დანახარჯების არსებითი გაზრდა.

იმისათვის რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება სწრაფი და ეფექტური იყოს, აუცილებელია ხელისუფლების შტოებს შორის არსებობდეს კოორდინირებულ მოქმედებათა ერთობლივი სამოქმედო გეგმა. კანონით უფლების მინიჭება ყოველთვის არ გულისხმობს ამ უფლების ფაქტობრივად რეალიზების გარდაუვლობას. მიუხედავად იმისა, რომ სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ანალოგიურად არსებითია მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელება და საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა. საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის ინტერესი არ შეიძლება შეეწიროს სწრაფი მართლმსაჯულების იდეას.

ამკ-ის 56-ე მუხლის თანახმად: „არასრულწლოვნის საქმის განხილვაში მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით სასამართლო „ა“ უზრუნველყოფს, რომ საქმის სასამართლოში განხილვა არასრულწლოვნის აღქმისა და გაგების უნარების შესაბამისად მიმდინარეობდეს; „ბ“ სხდომებს შორის გონივრული ინტერვალით აცხადებს შესვენებას არასრულწლოვნის ასაკის, ჯანმრთელობის, განვითარების და სხვა გარემოებების გათვალისწინებით“. მოსამართლის მიერ არასრულწლოვანის (ბრალდებულის /დაზარალებულის/მოწმის) პიროვნული მახასიათებლების გათვალისწინებით. სასამართლო განხილვის სხდომის ვადის ერთჯერადად შემცირება პრაქტიკაში წარმოშობს ობიექტურ პრობლემებს. სასამართლო განხილვები სასამართლოსგან დამოუკიდებელი მიზეზით დროში იწელება, რა დროსაც ხშირია პირის მიერ ერთსა და იმავე ჩვენებაში აზრის ცვალებადობა, რაც შეიძლება თავიდან ყოფილიყო არიდებული, თუკი მისი დაკითხვა ერთ სასამართლო პროცესზე დასრულდებოდა.

არასრულწლოვანი ბრალდებულის სასამართლო პროცესი, როგორც წესი მისი თანდასწრებით წარიმართება, გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც ის თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას და სხდომის გადადება საქმის გონივრულ ვადაში განხილვას შეუძლებელს გახდის.

5. ინდივიდუალური მიდგომის პრინციპის რეალიზება ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში

5.1. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობა განრიდების ღონისძიების განსაზღვრისას

5.1.1. განრიდება/მედიაცა, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი.

ბავშვთა უფლებათა დაცვის კონვენციის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ადგენს: ,,როცა ეს აუცილებელი და სასურველია, ასეთი ბავშვების მიმართ ზომების მიღებას სასამართლო განხილვის გარეშე, ადამიანის უფლებათა და სამართლებრივი გარანტიების სრული დაცვით“. „ასეთ ბავშვებში“- კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი პირები იგულისხმებიან. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმე მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა გახდეს სასამართლოს განსახილველი სხვა შემთხვევებში უნდა მოხდეს ალტერნატიული მექანიზმების გამოყენება. ,,იმ ბავშვების მიმართ რეაგირებისათვის, ვინც ჩაიდინა დანაშაული, სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ „საფეხურებრივი“ სისტემის დანერგვა, რაც გულისხმობს რეაგირების ყოველგვარი ზომების მიუღებლობას, ბავშვის გაფრთხილებას, სასამართლო პროცესამდე განრიდებას და უკიდურესი ზომის სახით სასამართლოში განხილვას.“[56]

სახელმწიფოს მხრიდან სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმებისა და მსუბუქი ჩარევის აუცილებლობაზეა საუბარი ,,პეკინურ წესებში“ ასევე „ტოკიოს წესებში“ რომლის მე-59(1) წესი ადგენს: „სადაც შესაფერისია და შეთავსებადია სამართლებრივ სისტემასთან, პოლიციას, პროკურატურას, ან სხვა უწყებებს, რომელთა საქმიანობა ეხება სისხლისსამართლის საქმეებს, უნდა მიეცეთ უფლება, დამნაშავეს მოუხსნან ბრალი (შეწყვიტონ საქმის წარმოება), თუ ისინი მიიჩნევენ, რომ საზოგადოების დაცვის უზრუნველყოფის, დანაშაულის პრევენციის, კანონის პატივისცემისა და მსხვერპლთა უფლებების დაცვის ხელშეწყობისათვის არ არის აუცილებელი საქმისწარმოების გაგრძელებ“.[57]

არაასრულწლოვანთა უფლებების მარეგულირებელი საერთაშორისო აქტები თითქმის ყოველთვის დევნის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენებას ემხრობიან, რაც არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარეა დადგენილი. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებთან ერთათ, არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებისას ან მის მიმართ

[56]ქეროლინ ჰამილტონი, „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები“, 2015წ. გვ. 65.

[57]იქვე, გვ. 65.

სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოების მიერ დისკრეციის გამოყენებისას ასევე გაითვალისწინება მისი ინდივიდუალური მახასიათებლები.

იუსტიცის სამინისტროს ეგიდით მომზადებულ განრიდების განრიდებისა და მედიაციის პროგრამის შესახებ 2015 წლის ანგარიშში ხაზგასმითაა აღნიშნული განრიდებისა და მედიაციის პროგრამაზე როგორც, არასრულწლოვანთათვის სარგებლობის მომტან მნიშვნელოვან სისხლისსამართლებრივ ინსტიტუტზე. კერძოდ: ,,განრიდებისა და მედიაციის პროგრამა არასრულწლოვანთათვის წარმოადგენს ერთ შანსს, გარკვეული პირობების შესრულების სანაცვლოდ განაგრძოს ცხოვრება ნასამართლობის, სასჯელის გარეშე, დაიწყოს კანონმორჩილი ცხოვრება და გადადგას ნაბიჯი წარმატებული მომავლისაკენ".[58]

ქართულ მართლმსაჯულებაში არაერთი არასრულწლოვნისათვის სასიკეთო ნორმა და მიდგომაა ინტეგრირებული საერთაშორისო და ევროპული საკანონმდებლო ბაზიდან. მაგალითად, ამკ-ის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს: „არასრულწლოვნის მიმართ, პირველ რიგში, განიხილება განრიდების ან აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა". თავად განრიდება განიმარტება, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხიმგებლობისაგან გათავისუფლების ფორმა, სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი. ხოლო მედიაცია-კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნისა და დაზარალებული არასრულწლოვანს შორის წარმოებულ დიალოგს ეწოდება, რაც არასრულწლოვნების შერიგების მიზნით გამოიყენება. არასრულწლოვანთა შერიგებას დიდი მნიშვნელობა აქვს არასრულწლოვანთა შორის განმეორებითი კონფლიქტის გამორიცხვისათვის.

როგორც პროფესორი ი. დვალიძე აღნიშნავს: ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ფაქიზი ბუნების გამო, სამართლებრივი სახელმწიფო ვალდებულია სისხლისსამართლებრივი რეპრესიის განხორციელებისას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ჩადენილი დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივი შედეგების ეფექტურობას, ჰუმანიზმისა და პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის პრინციპებს". [59] პროფესორის აზრით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მახვილდებოდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ალტერნატიული მექანიმების დანერგვასა და მათ პრაქტიკულ რეალიზებაზე. მისი აზრით,

[58]განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამა 2015 წლის ანგარიში. იხ:http://ganrideba.ge/res/files/52/Diversion%20Report_2015.pdf ბოლო ნახვა (28/04/2019)

[59] დვალიძე ი. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, გამომცემლობა „მერიდიან"ი თბილისი 2013, გვ 246.

არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის ინსტიტუტის დანერგვა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განვითარებისათვის მნიშვნელოვანი იყო.[60]

განრიდებასა და მედიაციას მოიხსენიებენ, როგორც „რესტორაციული მართლმსაჯულების“ ნაწილს. პროფესორი მ. შალიკაშვილი მას შემდეგნაირად განმარტავს: ,,რესტორაციულის სამართალი (აღდგენითი მართლმსაჯულება) გულისხმობს, რომ არასრულწლოვანი პასუხისმგებლობას იღებს თავის არასამართლებრივ საქციელზე. ოჯახი, საზოგადოება და თავად დამნაშავე ერთად არიან ჩართული ამ პროცესში. არასრულწლოვანს თავად შეუძლია მიიღოს მონაწილეობა შესაფერისი დასჯითი ზომების შერჩევაში“. [61] „განრიდებისას სისხლისსამართლებრივი დევნის არ დაწყება ან დაწყებული დევნის შეწყვეტა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულის ჩამდენი პირი (განრიდების სუბიექტი) შეასრულებს პროკურორის მიერ მისთვის განსაზღვრულ ერთ ან რამოდენიმე პირობას“.[62] განრიდება არის ფორმალური სასჯელისაგან და სისხლისსაამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ბრალდებულის გათავისუფლების სწორი სამართლებრივი ბერკეტი. განრიდებული არასრულწლოვანი, ერთი მხრივ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს, მეორე მხრივ კი ვალდებულებების შესრულებისას მას ევალება გააანალიზოს საკუთარი დანაშაულებრივი ქმედება და შეცვალოს საქციელი.

5.1.1.2 განრიდების გამოყენების აუცილებელი წინაპირობები და უფლებამოსილი სუბიექტები

ზოგადად, განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღება შეუძლია პროუკურორს, ასევე მოსამარლთეს კანონით დადგენილი წესით. როგორც პროფესორი შალიკაშვილი აღნიშნავს, საქმის სასამართლოში განხილვისას, მოსამართლის მიერ საქმის პროკურორისათვის დაბრუნება განრიდების მიზნით პროკურორისათვის განრიდების ვალდებულებას წარმოშობს. შალიკაშვილი მიესალმება აღნიშნულ მექანიზმს მისი აზრით: „არასრულწლოვანის საქმეზე შეჯიბრებითობის პრინციპი მეორეხარისხოვანი უნდა იყოს და წინ უნდა წამოიწიოს მოზარდის ჭეშმარიტმა ინტერესმა“. [63] არასრულწლოვანის საქმის განხილვისას, დაცვის მხარეს დასაბუთებული შუამდგომლობით შეუძლია მიმართოს, როგორც პროკურორს, საქმის წინასასამართლო განხილვის ეტაპამდე, ასევე სასამართლო,ს წინასასმართლოს ხდომის შემდეგ. ამკ-ის თანახმად, განრიდების გადაწყვეტილების მიღების შემდეგ პროკურორი

[60] იქვე, გვ. 246.

[61]შალიკაშვილი მ. , მიქანაძე გ. , „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“ (სახელმძღვანელო) , მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, გამომცემლობა მერიდიანი“ 2016, გვ. 91.

[62]საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარი, ამერიკის იურისტთა ასოციაცია, გვ. 488.

[63]შალიკაშვილი მ. , მიქანაძე გ. , „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“ , მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი გამომცემლობა „მერიდიანი“ 2016, გვ. 95.

უფლებამოსილია არასრულწლოვანთან გააფორმოს ხელშეკრულება განრიდებისა ან/და განრიდებისა და მედიაციის შესახებ, რომლის მოქმედების ვადა არ აღემატება 1 წელს. არასრულწლოვნის მიმართ განრიდების გამოყენებისას აუცილებელია არსებობდეს ამკ-ის მე-40 მუხლიში ჩამოთვლილი წინაპირობები. უნდა არსებობდეს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი, რომ არასრულწლოვანმა მძიმე ან ნაკლებად მძიმე დანაშაული ჩაიდინა, იგი არ უნდა იყოს ნასამართლვი, არ უნდა იყოს განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართული, უნდა აღიარებდეს დანაშაულს და სხვ. მხოლოდ ყველა გარემოების კუმულატიურად არსებობის შემთხვევაშია შესაძლებელი არასრულწლოვანის მიმართ განრიდების გამოყენება.

როგორც პროფესორი ქ. ჰამილტონი აღნიშნავს: „იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის დანაშაულებრივი ქმედება ისეთია, რომ ,,არავითარი ჩარევა" ან ოფიციალური თუ არაოფიციალური გაფრთხილება არ იქნება სათანადო რეაგირება, კანონმდებლობა უნდა აკისრებდეს პოლიციას, პროკურორს ან მოსამართლეს ვალდებულებას, განიხილონ ბავშვის განრიდების ღონისძიებები დანაშაულებრივ ქცევაზე რეაგირების მიზნით".[64]

პროფესორი განრიდებას და სისხლისსამართლებრივი დევნის სხვა ალტერნატიულ მექანიზმებს ჩამოთვლის: „არავითარი ჩარევა", „წინასწარი გაფრთხილება", „მზრუნველობისა და სოციალური უზრუნველყოფის პროცედურების გამოყენება", რომელთა გამოყენების არაეფექტურობის შემთხვევაში ხდება განრიდების გაფორმება.

ბავშვთა უფლებათა დაცვის კონვენციის თანახმად: „განრიდების ზომებს შეიძლება მიეკუთვნებოდეს ზრუნვა, მეურვეობისა და მეთვალყურეობის განკარგულებები, საკონსულტაციო მომსახურება, გამოსაცდელი ვადის დანიშვნა, მინდობით აღზრდა, სწავლებისა და პროფესიული მომზადების პროგრამები და ზრუნვის ისეთი ფორმები, რომლებიც დაწესებულებებში ზრუნვას შეიძლება შეენაცვლოს". განრიდების ღონისძიებებს დეტალურად ჩამოთვლის ამკ-ის 42-ე და 45-ე მუხლები. 45-ე მუხლში ასევე გაკეთებულია დათქმა, რომლის თანახმადაც, არასრულწლოვანს შეიძლება დაევალოს: „სხვა ისეთი მოვალეობა, რომელიც ხელს შეუწყობს მის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას". მისასალმებელია, რომ კანონმდებელმა განრიდების გაფორმებაზე უფლებამოსილ სუბიექტს დაუტოვა უფლებამოსილება, რომ კონკრეტული პიროვნებიდან გამომდინარე არასრულწლოვანს დააკისროს სხვა ისეთი ვალდებულება, რაც თავად არასრულწლოვნისთვისვე იქნება სასარგებლო შედეგის მომტანი. განრიდების, საქმის სასამართლოში წარმართვამდე, გაფორმებისას იზოგება სახელმწიფო რესურსი, საქმე მარტივად და სწრაფად სრულდება, რაც საშუალებას იძლევა სახელმწიფოებრივი რესურსები უფრო რთული კატეგორიის საქმეების განხილვისაკენ იყოს მიმართული. ამავდროულად,

[64]ქეროლინ ჰამილტონი, „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები", 2015წ გვ. 67.

არასრულწლოვანს არ რჩება ნასამართლობა და იგი თავს არიდებს საზოგადოებაში დამკვიდრებულ სტიგმას.

მნიშვნელოვანია, რომ განრიდების გამოყენებასთან დაკავშირებით შეინიშნება ტენდენცია, რომლის თანახმადაც ყოველწლიურად იზრდება პროკურატურის მიერ არასრულწლოვნების მიმართ განრიდებით დასრულებული საქმეები, ამავე დროს, მცირდება სასამართლოს მიერ საქმის პროკურატურისათვის დაბრუნების შემთხვევები, არასრულწლოვნისათვის განრიდების გაფორმების მოთხოვნით. კერძოდ: „2016 წელს სასამართლომ განრიდების გამოსაყენებლად პროკურატურას საქმე დაუბრუნა 38 არასრულწლოვნის (დევნადაწყებულ არასრულწლოვანთა 18.7%-ის მიმართ), ხოლო 2017 წელს მხოლოდ 21 არასრულწლოვნის მიმართ (დევნადაწყებულ არასრულწლოვანთა 7.7%-ის მიმართ). აღნიშნული მაჩვენებელი მიუთითებს, რომ პროკურორთა მიერ დროულად და სწორად ხდება არასრულწლოვანთა განრიდება“.[65]

განრიდების პროგრამის ეფექტურობაზე მსჯელობისას მთავარი პროკურორის ანგარიშში ყურადღებაა გამახვილებული, განრიდების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე და განრიდებული არასრულწლოვნების მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელზე. გენერალური პროკურორის ანგარიშის თანახმად: ,,2017 წელს განრიდების ხელშეკრულების დარღვევის 36 შემთხვევა დაფიქსირად, რაც განრიდებულთა საერთო რაოდენობის 7.5%-ს წარმოადგენს. 36 შემთხვევიდან დანაშაული ჩადენილი იქნა 13 შემთხვევაში, ხოლო 23 შემთხვევაში არ შესრულდა განრიდების ხელშეკრულების პირობები.“[66] რაც შეეხება განმეორებითი დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელს: „2017 წელს საქართველოს პროკურატურის მიერ დათვლილი იქნა 2010-2016 წლებში განრიდებულ არასრულწლოვანთა მიერ განმეორებითი დანაშულის ჩადენის მაჩვენებელი. შედეგების მიხედვით, განმეორებითი დანაშაული ზემოაღნიშნულ პერიოდში განრიდებულ არასრულწლოვანთა მხოლოდ 9%-მა ჩაიდინა. 1500 განრიდებულიდან 134-მა“. [67] შედეგების ანალიზისას თამამად შეიძლება ითქვას, რომ განრიდების პროგრამა საქართველოში ეფექტურ შედეგს იძლევა.

---

[65]გენერალური პროკურორის ანგარიში 06/02/2018 გვ. 23 იხ: http://pc.gov.ge/Multimedia%2FFiles%2F%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%2F%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%206.02.2018.pdf ბოლო ნახვა (19/04/2019)

[66]იქვე, გვ. 24.
[67]იქვე, გვ. 24.

გერმანიის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში განრიდება დიდ როლს თამაშობს, 2006 წელს განრიდებით დამთავრდა არასრულწლოვანთა საქმეთა 69%. განრიდების ეფეტურობას ადასტურებს ის, რომ განრიდების გამოყენების შემთხვევაში სასამართლოები განიტვირთებიან. ამავდროულად ძალიან დაბალია იმ გასამართლებულ არასრულწლოვანთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც ადრე ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის ნაცვლად განრიდება იქნა გამოყენებული.[68]

5.1.2. ანგარიშის მომზადების სახელმძღვანელო პრინციპები

ამკ-ის 38-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად პროკურორის მიერ განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინება კოდექსის 27-ე მუხლის შესაბამისად მომზადებული ინდივიდუალური შეფასების ანგარიში. ინიდივიდუალური შეფასების ანგარიშში, სხვა ბევრ გარემოებასთან ერთათ, აისახება არასრულწლოვნის მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკი, და მისი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშემწყობისათვის რეკომენდირებული ღონისძიებები. „საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, არასრულწლოვანთა სამართალწარმოების დროს მასთან დაკავშირებით ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არასრულწლოვნის კეთილდღეობის უზრუნველყოფა, მისი ასაკი, განაჩენის სიმძიმე კი განსაზღვრული უნდა იქნეს იმგვარად, რომ შემდგომში მისმა შესრულებამ ხელი შეუწყოს არასრულწლოვნის საზოგადოებაში დაბრუნებას და არ იყოს მიმართული არასრულწლოვნის დასჯისაკენ“.[69]

ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება და გათვალისწინება სავალდებულოა სისხლის სამართლის პროცესის შემდეგ სტადიებზე: განრიდების ღონისძიების განსაზღვრისას, სასჯელის დანიშვნისას, საპატიმრო სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვისას, არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისას და პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლების საკითხის განხილვისას. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადებისს მეთოდოლოგია, წესი და სტანდარტი განსაზღვრულია საქართველოს იუსტიციის, შინაგან საქმეთა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 15 მარტის N132/N95/N23 ერთობლივი ბრძანებით (შემდგომში ბრძანება).

---

[68] ვაიდკუნი ურსინა, მართლმსაჯულება ბავშვებისათვის, საუნივერსიტეტო კურსი, საკითხავი მასალა სტუდენტებისათვის, გაეროს ბავშვთა ფონდი 2013 წელი, ლექცია 4 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება განრიდება და მედიაცია

[69] მახარობლიძე თ., „ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტი ჟურნალი: სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები 2017 წ. N1 გვ. 78.

ბრძანება ხუთი დანართისაგან შედგება, რომლებშიც დეტალურადაა გაწერილი ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგია და სტანდარტი. ბრძანების მეორე მუხლი განსაზღვრავს იმ ზოგად პრინციპებს,რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადებისას ესენია: ობიექტურობა, კონფიდენციალურობა, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება. მნიშვნელოვანია, რომ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომმზადებელმა პირმა, ყველა ღონისძიება უნდა გაატაროს, რადგან თავიდან იქნეს აცილებული მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება.

5.1.3. ანგარიშის მომზადების წესი, მიზანი

განრიდების ღონისძიებების გამოყენებისას, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შედგენის მიზანია არასრულწლოვნის სოციალლური გარემოსა და ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებზე დაფუძნებული განრიდების ღონისძიების განსაზღვრას.

პროკურორის მიერ განრიდების შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ იწყება ანგარიშის მომზადება, ამასთან აუცილებელია არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენელის წინასწარი თანხმობა. ამკ-ის თანახმად ანგარიშის მომზადებას უზრუნველყოფს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო (შემდგომ - პრობაციის ეროვნული სააგენტო) სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს სოციალური მუშაკი; ხოლო იმ სამოქმედო ტერიტორიაზე სადაც არ ხორციელდება სოციალური მუშაკის მომსახურება სათანადოდ გადამზადებული პრობაციის ოფიცრები. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს იუსტიციის სამინისტროსთან მიერთების შემდეგ უცვლელია შესაბამისი საქმის მწარმოებელი სუბიექტები.

ბრძანების თანახმად, პროკურორის წერილობით მიმართვას განრიდების გადაწყვეტილების მიღების თაობაზე შესაბამისი პრობაციის ბიუროს უფროსი იღებს. ბიუროს უფროსი მიმართვის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში საქმეს სოციალურ მუშაკს გადასცემს. პროკურორს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია შესაბამისი სოციალური მუშაკის შესახებ რაც მოიცავს ვინაობასა და საკონტაქტო ინფორმაციას.

ანგარიშის შედგენის შემდეგი ეტაპია სოციალური მუშაკისა და პროკურორის შეხვედრა, რომლის შემდეგაც სოციალური მუშაკი უნდა შეხვდეს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანსა და მის კანონიერ წარმომადგენელს/ადვოკატს, რა დროსაც განიხილება ურთიერთთანამშრომლობის საკითხები. სოციალური მუშაკი ერთგვარი მედიატორია პროკურორსა და კანონთან კონფლიქტში მყოფ

არასრულწლოვანს შორის. მის სწორ ნაბიჯებზეა დამოკიდებული, არა მხოლოდ მაქსიმალურად სამართლიანი, კანონიერი და ობიექტური ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შედგენა, არამედ, ზოგადად, განრიდების დადებითი შედეგით დასრულებაც.

ბრძანების თანახმად: „სოციალური მუშაკი არასრულწლოვნის ინდივიდუალურ შეფასებას, შეფასების საფუძველზე შემუშავებულ დასკვნასა და ხელშეკრულების სარეკომენდაციო პირობებს საქმის წარმოებაში მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში აწვდის პროკურორს“. ანგარიშის შედგენის 10 დღიანი ვადის არასაკმარისობაზე არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული. „ვერ დავეთანხმები აღნიშნულ ნორმას პრაქტიკაში რთულია ასეთი მცირე ხნის განმავლობაში სოციალურმა მუშაკმა ჯეროვნად მოიძიოს და დაამუშაოს ყველა ის ინფორმაცია, რაც ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში უნდა იყოს ასახული“.[70] მიუხედავად იმისა, რომ პროკურორი აღჭურვილია ვადის გაგრძელების ბერკეტით მიზანშეწონილი იქნება, თუკი ვადა ბრძანებაში პირდაპირ იქნება გაზრდილი. გაზრდილი ვადა სოციალურ მუშაკს საშუალებას მისცემს, რომ საქმეს უფრო გულმოდგინედ მოეკიდოს, ასევე საჭიროების შემთხვევაში უფრო მეტი ვიზიტი განახორციელოს არასრულწლოვანთან და მის ოჯახთან. ანგარიშის მომზადებისათვის განკუთვნილი გაზრდილი ვადა სოციალურ მუშაკს საშუალებას მისცემს ყოველმხრივ გამოიკვლიოს არასრულწლოვანის პიროვნება, საცხოვრებელი გარემო და მასთან დაკავშირებული პირები. შემდეგ „გაფილტროს“ ინფორმაცია და ურთიერთშეთავსებად ფაქტებზე დაყრდნობით შექმნას მაღალი სამართლებრივი „წონის“ დოკუმენტი.

სოციალური მუშაკის მიერ შედგენილი შეფასება ძირითადად ემყარება არასრულწლოვანთან, მისი ოჯახის წევრებთან და არასრულწლოვანთან დაკავშირებული სოციუმის სხვა წარმომადგენლებთან განხორციელებულ ინტერვიუებს. ინტერვიუების ჩაწერის პროცესისას სოციალური მუშაკის მიზანი არასრულწლოვანის ფიზიკური განვითარებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ემოციური, კოგნიიტური განვითარების და ქცევითი თავისებურებების შესახებ, განათლების, პროფესიული მომზადების, სპორტული საქმიანობისა და სამუშაო გამოცდილების შესახებ, ოჯახისა და საცხოვრებელი გარემოს შესახებ, სოციალური გარემოსა და ურთიერთობების შესახებ მაქსიმალურად ამომწურავი ინფორმაცის მიღებაა. აღნიშნული გარემოებების შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ სოციალური მუშაკი ქმნის ინდივიდუალურ შეფასებას და ამზადებს დასკვნას, რომელშიც პროკურორისთვის სახელმძღვანელო სარეკომენდაციო პიროებებს ჩამოთვლის, რომელსაც ეს უკანასკნელი განრიდების საკითხის გადაწყვეტისას გამოიყენებს.

[70]იქვე, გვ. 80.

პროკურორი სოციალური მუშაკის დასკვნის საფუძველზე ამზადებს განრიდების/განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულებას და განსაზღვრავს მის ძირითად პირობებსა და მოქმედების ვადას. „განრიდების ხელშეკრულება არის სამოქალაქო ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს არასრულწლოვნის ქცევის შეზღუდვასა და სხვა უფლება-მოვალეობებს“.[71] ხელშეკრულების ძირითადი პირობები დამტკიცებულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 თებერვლის N120-ე ბრძანებით რაც, არასრულწლვნის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესსა და მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ძირითად პირობებს ამტკიცებს. განრიდების ხელშეკრულებასა და განრიდება-მედიაციის ხელშეკრულებას შორისგანსხვავება არასრულწლოვანი დაზარალებულის მონაწილეობის ფაქტორია. ბრძანების [72] თანახმად, დაზარალებულის მედიაციის პროცესში ჩართულობაზე თანხმობის გამოხატვის შემთხვევაში შესაძლებელია მომზადდეს განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულება.

14- დან 18 წლამდე არასრულწლოვნებისა და 18 დან 21 წლამდე პირების მიმართ განრიდების საკითხი რეგულირდება საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 თებრევლის N120-ე ბრძანებით ,,არასრულწლოვნის მიმართ განრიდების/ განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ“. [73] ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნის არ დაწყების ან უკვე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ხდება ე.წ. სრული ტესტის შედგენა, რომელიც მოიცავს მტკიცებულებით ტესტს და საჯარო ინტერესის ტესტს.[74]

არასრულწლოვსოციალური მუშაკის როლი არ იწურება განრიდების/განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულების გაფორმებისას. სოციალური მუშაკი ვალდებულია არასრულწლოვანს დეტალურად გააცნოს გაფორმებბული ხელშეკრულება, განუმარტოს მასში გაწერილი პირობები და პირობების შესრულების მექანიზმები. სოციალური მუშკი ასევე ვალდებულია ხელშეკრულების შესრულებაზე მონიტორინგი აწარმოოს. თვეში ერთხელ მაინც შეხვდეს არასრულწლოვანს და არასრულწლოვნის მიერ შესრულებული ხელშეკრულების პირობები განიხილოს.

---

[71]შალიკაშვილი მ. არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები. თბილისი, 2013

[72] საქართველოს იუსტიციის, შინაგან საქმეთა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 15 მარტის N132/N95/N23 ერთობლივი ბრძანება

[73] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 თებრევლის N120-ე ბრძანებით ,,არასრულწლოვნის მიმართ განრიდების/ განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ“.

[74] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის N181 ბრძანება „სისხლისხლის სამართლის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“

5.2. არასრულწლოვნის სასჯელის მიზნებში ასახული არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა და არასასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომის პრინციპი არასრულწლოვნის სასჯელის მიზნებშიც აირეკლა. ამკ-მა უარი თქვა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სამართლიანობის აღდგენის მიზანზე, რითაც კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი იმას, რომ სახელმწიფო პრიორიტეტულად აცხადებს არა საჯარო ინტერესს არამედ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესს. [75] სამართლიანობის აღდგენა გარკვეულ შემთხვევებში დანაშაულის ჩამდენი პირისათვის სამაგიეროს მიზღვასთან ასოცირდება, რაც არასრულწლოვანთა მიმართ უნდა გამოირიცხოს.76

,,არასრულწლოვნისათვის სასჯელის დანიშვნის საკითხის გადაწყვეტისას უნდა გამოირიცხოს ზოგადი (გენერალური) პრევენციის გამოყენება და გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ და მხოლოდ სასჯელის სპეციალური (ინდივიდუალური) პრევენცია“.[77] სასჯელის მიზანია, პირველ რიგში, დამნაშავის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია მისი საზოგადოებაში ღირსეულად დაბრუნება(პოზიტიური სპეციალური პრევენცია); ასევე მოზარდის მიმართ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის, როგორც უკიდურესი ზომის გამოყენებას (ნეგატიური სპეციალური პრევენცია)[78].

არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის მიზნის მიღწევას ამკ შემდეგი სასჯელების მეშვეობით ცდილობს: ჯარიმა, შინაპატიმრობა, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ვადიანი თავისუფლების აღკვეთა.

არასრულწლოვნის მიმართ ჯარიმა სასჯელის სახედ მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნას გამოყენებული, როდესაც არასრულწლოვანს აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი, რომელსაც იგი კანონიერი საქმიანობიდან იღებს. მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებელმა ზუსტად განსაზღვრა როდის შეუძლია მოსამართლეს არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის სახეთ ჯარიმის გამოყენება. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება საფრთხე შექმნოდა სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპს. [79] ამკ-ის თანახმად:

---

[75] ვარძელაშვილი ი. „სასჯელის მიზნები“ სადისერტაციო ნაშრომი, უნივერსიტეტის გამოცემა , თბილისი 2016, გვ. 191.

[76]ვარძელაშვილი ი., „არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნა (სასამართლო პრაქტიკის ანალიზი“). არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, ,,გამომცემლობა მერიდიანი“ თბ., 2017, გვ. 124.

[77]შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი 2016, გვ. 126.

[78]იქვე, გვ. 126.

[79]თოდუა ნ., არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, (სახელმძღვანელო) ავტორთა კოლექტივი, გამომცემლობა: ,,მერიდიანი“, თბილისი 2016 წელი გვ. 687.

„არასრულწლოვნისთვის ჯარიმის დანიშვნისას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი ჯარიმის მინიმალური ოდენობა ნახევრდება“.

ამკ-ის 69-ე მუხლის თანახმად, ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში არასრულწლოვანს სასჯელის სახეთ შეიძლება დაენიშნოს შინაპატიმრობა. შინაპატიმრობა არასრულწლოვანს შეიძლება დაენიშნოს 6 თვიდან 1 წლამდე. 69-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, შინაპატიმრობაზე ზედამხედველობა, როგორც წესი, ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებით ხდება; ხოლო, ელექტრონული ზედამხედველობის გამოუყენებლობის შესახებ გადაწყვეტილებას პრობაციის ეროვნული სააგენტო იღებს. ,,ელექტრონული სამაჯურის (სხვა მეცნიერული ჟარგონით-ბორკილის) გამოყენების პრაქტიკა სისხლის სამართალში დღესდღეობით მრავალ ეჭვს ბადებს“. [80] პროფესორი მჭედლიშვილი-ჰედრიხი აღნიშნავს, რომ ელექტრონული სამაჯურის გამოყენება ძვირი ჯდება და ამავე დროს სამაჯურზე გარკვეული ტიპის მანიპულაციების განხორციელება და მისი მწყობრიდან გამოყვანა ადვილია.[81]

,,ელექტრონულად კონტროლირებადი შინაპატიმრობის სამშობლოში, ამერიკის შეერთებულ შტატებში შინაპატიმრობის სამ სხვადასხვა სახეს იყენებენ“. [82] ,,შინაპატიმრობა სამი სახისაა და მათ შემდეგ ნაირად მოიხსენიებენ: ყველაზე მკაცრი და თავისუფლების აღკვეთასთან ყველაზე დაახლოებული შინაპატიმრობის ფორმა ე. წ. ,,Home Incaracetion”, რომელიც ავალდებულებს დამნაშავეს მუდმივად სახლში ყოფნას, გარდა სამედიცინო დაწესებულებაში ვიზიტისა და რელიგიურ ცერემონიებში მონაწილეობისა. ნაკლებად მკაცრია ,,Home Detention”, რომლის დროსაც მსჯავრდებულს შეუძლია დატოვოს სახლი მხოლოდ სამსახურში, სასწავლო დაწესებულებაში და ექიმთან წასვლის დროს, ხოლო შინაპატიმრობის ყველაზე ლიბერალური ფორმაა ,,Curfew”, როდესაც მსჯავრდებული ვალდებულია გარკეული საათების განმავლობაში სახლში იყოს, ძირითადად ეს ეხება ღამის საათებს“.[83]

ამკ-ის თანახმად შინაპატიმრობა დღე-ღამის განსაზღვრულ პერიოდში არასრულწლოვნისათვის მის საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულების

---

[80]ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, შენიშვნები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსზე, ჟურნალი სამართალი და მსოფლიო 2015 წლის N2; გვ. 60.
[81]იქვე, გვ. 60.
[82]ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, „შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში-ისტორიული, სამართლებრივი ასპექტები და დანიშვნის თავისებურება“, ჟურნალი სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, თბილისი 2017წ. გვ. 64.
[83]მახარობლიძე თ. სასჯელები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასმართლო პრაქტიკა გამომცემლობა ,,მერიდიანი“ თბილისი 2017. გვ. 54.

დაკისრებას გულისხმობს, შესაბამისად ქართულ რეალობაში გამოიყენება შინაპატიმრობის მსუბუქი ფორმა ე. წ. ,,Home Detention".[84]

2015 წელს შინაპატიმრობის გამოყენების ერთი შემთხვევა დაფიქსირდა, 2016 წელს-9, 2017 წელს-20, მზარდი დინამიკა ცხადყობს, რომ აღნიშნული სახის სასჯელი თანდათან უფრო მეტად გამოყენებადი ხდება. შინაპატიმრობის გამოყენების ერთ-ერთი მთავარი არგუმენტია ის გარემოება, რომ შინაპატიმრობის შემთხვევაში, სასჯელის ვადის მთელ პერიოდს არასრულწლოვანი ოჯახში გაატარებს, რაც მაქსიმალურად ხელს შეუწყობს მის რესოციალიზაცია რეაბილიტაციას. შინაპატიმრობის გამოყენება დაშვებელია ოჯახური დანაშაულის დროს. ხშირია შემთხვევები როდესაც ოჯახური ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნები სახლიდან გარბიან და ქუჩაში ცხოვრებას იწყებენ. აღნიშნული წარმოადგენს რისკ ფაქტორს, ვინაიდან ქუჩაში დარჩენილ არასრულწლოვანს საკვების მოპოვებისა და სხვა საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ადრე თუ გვიან მოუწევს დანაშაულის ჩადენა.[85]

ამკ-ის 70-ე მუხლით გათვალისწინებულია სასჯელის სახე-საქმიანობის უფლების ჩამორთმევა. აღნიშნული სასჯელის სახის არასრულწლოვნის მიმართ გამოყენების პრეცედენტი არ არსებობს.

ამკ-ის 71-ე მუხლის მე-4 ნაწილი ადგენს: „საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნისას, სასურველია, არასრულწლოვანი მსჯავრდებული სამუშაოდ ისეთ ადგილზე გამწესდეს, სადაც იგი საზოგადოების წევრად ჩამოყალიბებისათვის საჭირო გამოცდილებასა და უნარებს შეიძენს". პროფესორ შალიკაშვილს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომაზე მსჯელობისას მაგალითად მოჰყავს ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 10 მაისის განაჩენი N1-128. პროფესორი აკრიტიკებს განაჩენით არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ოდენობას, კერძოდ 400 საათს. პროფესორი აღნიშნავს, რომ მოსამართლის განაჩენში არ არის დაკონკრეტებული თუ რა ტიპის სამუშაო უნდა შეასრულოს არსრულწლოვანმა, ასევე არ არის დაკონკრეტებული რა საჭიროება არსებობდა ამ სიდიდის საჯელის გამოყენებისას. [86] პროფესორს შედარებისათვის მაგალითად მოჰყავს ავსტრიაში მოქმედი რეგულირების ნორმები, რომლის თანახმადაც „[..არასრულწლოვნისათვის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შეფარდება

[84]ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში-ისტორიული, სამართლებრივი ასპექტები და დანიშვნის თავისებურება, ჟურნალი სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, თბილისი 2017წ. გვ. 69.

[85]ნევნა ვუჩკოვიჩ შაჰოვიჩი, დოეკი იააპ ე., ცერტმანი ჟან. , ,,ბავშვის უფლება საერთაშორისო სამართალში", თსუ, 2015, გვ. 349.

[86]შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი 2016, გვ. 143.

შესაძლებელია მაქსიმუმ 60 საათის ოდენობით...]". [87] მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა არის თავისუფლების აღკვეთაზე მსუბუქი სასჯელი და არასრულწლოვნისადმი ამ ტიპის სასჯელის გამოყენებისას არასრულწლოვნისადმი ჰუმანური მიდგომა ცალსახად სახეზეა, არ შეიძლება არასრულწლოვნის სასჯელმა დაკარგოს რესოციალიზაცია რეაბილიტაციის ფუნქცია, რისი მიღწევაც შეუძლებელია არაგონივრულად მკაცრი სასჯელის დანიშვნისას.[88]

ბავშვთა უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლი ადგენს: „მონაწილე სახელმწიფოები ცნობენ ბავშვის უფლებას, რომელმაც, როგორც თვლიან, დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედება მისი დარღვევა ან აღიარებულია მის დამრღვევად, რომ მისდამი მოპყრობა ხელს უწყობდეს მისი ღირსებისა და საკუთარი მნიშვნელობის გრძნობის განვითარებას, განუმტკიცებდეს მას ადამიანის უფლებებისადმი და სხვათა ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემას, ითვალისწინებდეს ბავშვის ასაკს მისი რეინტეგრაციის, საზოგადოებაში მის მიერ სასარგებლო როლის შესრულებისათვის ხელშეწყობის სასურველობას".

იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა ალტერნატიული მსუბუქი სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიება, ან სხვა მსუბუქი სასჯელის გამოყენება ვერ უზრუნველყობს არასრულწლოვანის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას - გამოიყენება თავისუფლების აღკვეთა. ამკ-ი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას მხოლოდ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის დროს ითვალისწინებს. მაქსიმალური სასჯელი კი არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს 14-დან 16 წლამდე არასრულწლოვნისთვის, ხოლო 12 წელს 16-დან 18 წლამდე არასრულწლოვნისთვის.

აღსანიშნავია, რომ თითოეული სასჯელის დანიშვნისას სასჯელის დანიშვნის საფუძველსა და მიზანს წარმოადგენს არასრულწლოვნის აღზრდასაა და მის საზოგადოებაში დაბრუნება. სასჯელის მიზანი დაუშვებელია იყოს არასრულწლოვნის დასჯა.

5.3. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობა სასჯელის დანიშვნისას

ამკ-ის 27-ე მუხლის თანახმად, საპატიმრო სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვისას ანგარიშს ამზადებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სპეციალური პენიტენციური სამსახური,

[87] იქვე, გვ. 145.
[88] ვარძელაშვილი ი. „სასჯელის მიზნები" სადისერტაციო ნაშრომი, უნივერსიტეტის გამოცემა, თბილისი 2016, გვ. 193.

ხოლო არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისას - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო. საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი წესით, ყველა შემთხვევაში, უმნიშვნელო დანაშაულის გამოკლებით, კომპეტენტური ორგანოს მიერ განაჩენის გამოტანის წინმსწრები საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, გულდასმით აუცილებელია ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შედგენა სასჯელის შეფარდებისას. კერძოდ, უნდა იქნეს შესწავლილი არასრულწლოვნის ცხოვრების პირობები, რომელშიც ჩაიდინა სამართალდარღვევა, რათა ხელი შეეწყოს კომპეტენტური ორგანოს მიერ გონივრული გადაწყვეტილების მიღებას.“[89]

ბრძანების [90] მე-2 დანართის 1-ლი მუხლის თანახმად, სასჯელის დანიშვნისას კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შედგენა მიზნად ისახავს არასრულწლოვნის სოციალური გარემოს, მისი უნარებისა და ინდივიდუალური საჭიროებების შესწავლას, რაც ხელს უწყობს მოსამართლეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებზე დაფუძნებული ობიექტური სასჯელის შეფარდებაში. როგორც პროფესორი ქ. ჰამილტონი აღნიშნავს: „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობამ სასამართლოს უნდა დაუწესოს ასეთი (სოციალური მოკვლევის) ანგარიშების მომზადებისათვის განკარგულების გაცემის მკაფიო ვალდებულება“. ჰამილტონი ასევე აღნიშნავს: ,,სოციალური მოკვლევის ანგარიში ეხმარება სასამართლოს შესაბამისი სასჯელის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში“.[91]

,,სასჯელის ინდივიდუალიზაციის პროცესში სამართლიანი სასჯელის უზრუნველსაყოფად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სასჯელის სწორად შერჩევის პრინციპს, რაც სამართლიანობის პრინციპის ცხოვრებაში გატარების უმნიშვნელოვანესი რეალიზებაა. სამწუხაროდ, აქვე უნდა შევნიშნო, რომ ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობა ამ გზას ბოლომდე არ ადგას. არც თუ ისე იშვიათად გვხვდებოდა შემთხვევები დამნაშავეთა მიმართ (განსაკუთრებით არასრულწლოვანთა მიმართ) ისეთი სადამსჯელო ღონისძიებათა გამოყენებისა, რომლებიც არ შეესატყვისება ჩვენს მიერვე საკანონმდებლო წესით დადგენილ სასჯელის მიზნებს“.[92]

---

[89]გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ, ,,პეკინური წესები“, ნაწილი ორი, მუხლი 17.

[90]იხ: საქართველოს იუსტიციის, შინაგან საქმეთა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 15 მარტის N132/N95/N23 ერთობლივი ბრძანება

[91]ქეროლინ ჰამილტონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, 2015წ გვ. 102.

[92]ლეკვეიშვილი მ., სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი #4(43)14, გვ. 22. იხ:

პროფესორი ლეკვეიშვილი ყურადღებას ამახვილებს სამართლიანი სასჯელის მნიშვნელობაზე და ამავე დროს სისხლის სამართლის იმ მკაცრ პოლიტიკაზე, რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიღებამდე არსებობდა.[93] სრულიად სამართლიანია პროფესორის პოზიცია. „ნულევანმა ტოლერანტობამ“ 24 000 მსჯავრდებული და თითქმის ორჯერ მეტი პრობაციონერი მოიტანა შედეგად.[94] დღეს არსებული მდგომარეობით ამკ-მა კატეგორიულად გამორიცხა სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობა, ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულებისას რაც, რა თქმა უნდა, გონივრულია. ამავე დროს, გასათვალისწინებელია, რომ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ისეთი დანაშაულების როგორებიცაა ქურდობა სსკ 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, ძარცვა 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, თაღლითობა 180-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, წარმოადგენს ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულებს და სწორედ აქ ხდება შესაძლებელი განრიდების გამოყენება. თუმცა, საკითხის მეორე მხარეა ქვეყანაში შექმნილი ვითარება არასრულწლოვანთა არაერთი კრიმინალური დაჯგუფების არსებობის სახით. მათი ზუსტი რიცხობრივი მონაცემები არ არსებობს, თუმცა, ცნობილია, რომ მათი ცხოვრებისეული მთავარი საქმიანობა ტექნიკის მაღაზიებიდან მობილური/კომპიუტერული ტექნიკის მართლსაწინააღმდეგო დაუფლებაა. აქ საკითხს ის ართულებს, რომ დაჯგუფების წევრების დიდი ნაწილი საერთოდ არ არის 14 წლის ასაკს მიღწეული, რაც სამართლებრივ რეაგირებას გამორიცხავს. თუმცა ფაქტია, რომ არსებობს გადაუჭრელი პრაქტიკული პრობლემა, რომლის გადაჭრისთვისაც საჭიროა სწრაფი და კომპლექსური სამოქმედო სტრატეგიის შემუშავება. ამგვარ სტრატეგიაში, მხოლოდ საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი ქმედებები და აგიტაცია იგულისხმება ასეთი ბავშვების მიმართ და კატეგორიულად გამოირიცხება ნებისმიერი დასჯისა თუ დაშინების ელემენტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობის ეფექტურობა.

სასჯელის დანიშვნისას მოსამართლე ვალდებულია არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების ანგარიში გაითვალისწინოს. ანგარიშს ამ შემთხვევაში პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკი ამზადებს სასამართლოს/პროკურორის მიმართვის საფუძველზე. სოციალური მუშაკი ანგარიშის მომზადების ეტაპზე არაერთხელ ხვდება როგორც არასრულწლოვანს, ასევე მის ოჯახის წევრებს, მასთან დაკავშირებულ ადამიანებს. სოციალური მუშაკი შეხვედრისას წერს ინტერვიუებს, რომლებზე დაყრდნობითაც შემდგომ ადგენს ინდივიდუალური

---

http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajuleba-da-kanoni-2014w-n4.pdf ბოლო ნახვა (13/05/2019)

[93] იქვე, გვ. 22.

[94] პროფ. მ. შალიკაშვილის ინტერვიუ ჟურნალ ,,ლიბერალთან“ იხ: http://liberali.ge/news/view/11974/kriminologi-moris-shalikashvili-amnistirebulta-riskfaqtorebs-unda-afasebdnen-video

შეფასების ანგარიშს. ანგარიშის მომზადების შემდეგ, სოციალური მუშაკი მას პროკურორსა და მოსამართლეს მიაწოდებს.

სასამართლოების მიერ სასჯელის საკითხზე მსჯელობისას, როგორც წესი, ხდება ინდივიდუალური შეფასების ანგარიშზე მსჯელობაც. მაგალითად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატამ 2016 წლის 23 მარტს მიღებულ განაჩენში საქმეზე N1/ბ-165-16 შემდეგი მსჯელობა განავითარა: „სასჯელის დანიშვნის დროს პალატამ გაითვალისწინა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი და ინდივიდუალური შეფასების ანგარიში. კერძოდ, დანაშაულის ჩადენის დროს პირი იყო არასრულწლოვანი - 16 წლის, ცხოვრობდა და ცხოვრობს დედასთან ერთად, ნაქირავებ ბინაში. ამასთან, დედა მუშაობს სხვა ქალაქში და მათ ყოველდღიური ურთიერთობა არ გააჩნიათ. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ პირი მოტივირებული ახალგაზრდაა, გასათვალისწინებელია ასევე ოჯახის ქონებრივი მდგომარეობა. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ მას სურს უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელება, რასაც ადასტურებს ისიც, რომ სწავლა გააგრძელა სკოლაში, ემზადება ინგლისურში“.[95] სასამართლო შეეცადა დეტალურად შეესწავლა როგორც ბრალდებული, ასევე მასთან დაკავშირებული სხვადასხვა ფაქტორები, რის თაობაზეც ინფორმაცია მან ინდივიდუალური შეფასების ანგარიშიდან მიიღო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა 2017 წლის 23 თებერვლის განაჩენში, საქმე N1/ბ-118-17 ასევე დეტალურად შეეხება არასრულწლოვნის პერსონალურ მახასიათებლებს და აკმაყოფილებს პროკურორის შუამდგომლობას, რითაც არსებითად ამძიმებს არასრულწლოვნის მდგომარეობას: აღსანიშნავია, რომ საქმეში ინდივიდუალური შეფასების ანგარიში გამოიყენება არა პირის მდგომარეობის დამძიმების ან შემსუბუქების მიზნით, არამედ ბრალდებულის პიროვნების ზუსტი პიროვნული მახასიათებელების დეტალურად შესწავლის, მის მიმართ ობიექტური, სამართლიანი და მაქსიმალურად მსუბუქი სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების განხორციელების მიზნით. „პალატა ყურადღებას ამახვილებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ერთ-ერთ მიზანზე, როგორსაც წარმოადგენს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია. წარმოდგენილი საქმის მასალების მიხედვით, პიროვნებას სხვადასხვა დროს ჩადენილი აქვს სამი დამოუკიდებელი დანაშული. გარდა ამისა, მანამდე ის ჩართული იყო განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში. სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე, დაცვის მხარემ განმარტა, რომ პიროვნებისათვის შემაკავებელი აღმოჩნდა ჯერ კიდევ აღკვეთის ღონისძიებასთან ერთათ განსაზღვრული დამატებითი ვალდებულებები. ამ პირობებში, პალატას მიაჩნია, რომ არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას ვერ

[95]იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 23 მარტის განაჩენი, საქმე N1/ბ-165-16.

მოახდენს 1 (ერთი) წლით პირობით ჩათვლილი თავისუფლების აღკვეთა".[96] პალატამ მიზანშეწონილად ჩათვალა არასრულწლოვნის მიმართ დაწესებული დამატებითი ვალდებულებები და არასრულწლოვნის ფსიქიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობისა და რესოციალიზაციის ინტერესებიდან გამომდინარე მასზე დაკისრებული ვალდებულებების გახანგრძლივება.

სასჯელის დანიშვნის ეტაპზე ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შედგენას არსებითი მნიშვნელობა აქვს არასრულწლოვნისათვის ობიექტური, სამართლიანი და რესოციალიზაცია-რეაბილიტაციაზე ორიენტირებული სასჯელის დანიშვნისათვის.

5.4. ინდივიდუალური შეფასების ანგარიში არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისას

ამკ-ის 77-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ შემთხვევაში, როდესაც არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის სახედ დანიშნულია ჯარიმა, მისი აღსრულების უზრუნველყოფა ხდება აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ,,სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით. ხოლო, არასრუწლოვნის მიმართ გამოყენებული სხვა სასჯელის აღსრულებას - პრობაციის ეროვნული სააგენტო ახორციელებს.

ბრძანების[97] თანახმად, არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს მულტიდისციპლინური გუნდი ქმნის. პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ ხდება არასრულწლოვან პირობით ვადამდე გათავისუფლებულ და პირობით მსჯავრდებულთა რისკიების შეფასება, სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რესოციალიზაცია, მისი საზოგადოებაში ინტეგრაცია.

მულტიდისციპლინური გუნდი შედგება არასრულწლოვან მსჯავრდებულთან მომუშავე პრობაციის ოფიცრისაგან, სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგისაგან, რომლებიც ერთობლივად ქმნიან ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს.

„არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესისამებრ, „პრობაციის ბიუროს უფროსი სამართლებრივ აქტს აღსასრულებლად გადასცემს პრობაციის ოფიცერს მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის (მსჯავრდებულის

[96]იხ: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 23 თებერვლის განაჩენი, საქმე N1/ბ-118-17 http://library.court.ge/judgements/63432017-10-17.pdf
[97]იხ: საქართველოს იუსტიციის, შინაგან საქმეთა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 15 მარტის N132/N95/N23 ერთობლივი ბრძანება

მიერ მითითებული ფაქტობრივი ან იურიდიული მისამართის) და პრობაციის ბიუროს სამოქმედო ტერიტორიის მიხედვით“.

ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შედგენის მიზეზი შესაძლოა იყოს პირობითი მსჯავრის გამოყენება, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნა, შერეული სასჯელი, ასევე პირობით ვადამდე განთავისუფლების საკითხის გადაწყვეტა.[98]

ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შედგენის ვადა, არასრულწლოვნის საქმის მსვლელობის ამ ეტაპზე, როგორც წესი, არ აღემატება 32 დღეს. ანგარიშის შედგენას, ბრძანებით დადგენილი წესისამებრ იწყებს სოციალური მუშაკი, რომელიც ხვდება არასრულწლოვანს, მასთან ახორციელებს ინტერვიუს და ინტერვიუს შემდეგ ავსებს ინდივიდუალური შეფასების ფორმას.

აღანიშნავია, რომ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შედგენის ამ ეტაპზე სოციალური მუშაკი, ანგარიშში ასახავს, როგორც არასრულწლოვნის შესახებ ზოგად ინფორმაციას, მართლსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ ინფორმაციას, არასრულწლოვნის ფიზიკური განვითარებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობას, არასრულწლოვნის ემოციურ ფონს, ამავე დროს, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შევსების შედეგად დგინდება ზიანის რისკის დონე.

არასრულწლოვნის შესახებ ზოგადი ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას არასრულწლოვნის მოქალაქეობის, დანაშაულის ჩადენის ასაკის, რეგისტრაციისა და ფაქტობრივი მისამართის, მშობელისა და კანონიერი წარმომადგენელის შესახებ.

მართლსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ ინფორმაციაში დეტალურად აღიწერება, თუ როდის დააკავეს არასრულწლოვანი ან დააკავეს თუ არა საერთოდ. ამავე დროს აღიწერება არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი ქმედება დეტალურად. ანგარიშში ასევე აისახება სახეზეა პირველად ჩადენილი დანაშაული თუ განმეორებით ჩაიდინა არასრულწლოვანმა დანაშაული. ანგარიშში დეტალურად აღიწერება თუ რამდენი დრო გაატარა არასრულწლოვანმა წინასწარი დაკავების საკანში, დროის რა მონაკვეთში იმყოფებოდა წინასწარ პატიმრობაში და იმყოფებოდა თუ არა სპეციალიზებულ დაწესებულებაში.

არასრულწლოვნის მიმართ არასაპატიმრო სასჯელის ოპტიმალური სახის ზუსტი განსაზღვრის მიზნით, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა არასრულწლოვნის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევას. არასრულწლოვნის მიმართ დანიშნული სასჯელის სახე და ზომა მის ჯანმრთელობას არ უნდა აუარესებდეს. დანიშნული სასჯელი, ერთი მხრივ, არ უნდა იყოს სადამსჯელო ხასიათის, არ უნდა იწვევდეს

[98]იხ: ბრძანების დანართი N4.1

არასრულწლოვნის დამცირებას და მისი ღირსების შეურაცხყოფას, მაგრამ, ამავე დროს, არასრულწლოვანმა უნდა გაითავისოს, რომ მან ჩაიდინა დანაშაული და იგი ამ დანაშაულის ჩადენის გამო ექცევა გარკვეულ უფლებაშეკვეცილ ჩარჩოში. ის ვალდებულია, დაემორჩილოს მიღებულ გადაწყვეტილებას, რადგან შანსის გაშვების შემთხვევაში მის მიმართ შესაძლებელია გამოყენებული იქნეს უფრო მძიმე სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიებები.

შეფასებაში ასევე აღინიშნება ინფორმაცია იმის თაობაზე, ხომ არ გამოირჩევა არასრულწლოვანი ძალადობრივი ქმედებისადმი მიდრეკილებით, გამხდარა თუ არა ოდესმე ის ძალადობის მსხვერპლი. სოციალური მუშაკი არკვევს მის დამოკიდებულებას ისეთი მავნე ჩვევებისა და ნივთიერებების მიმართ, როგორებიცაა ალკოჰოლი, ნარკოტიკული/ფსიქოტროპული საშუალებები, აზარტული თამაშები.

არასრულწლოვნის მიმართ ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების განხორციელებისას მნიშვნელოვანია, თავად არასრულწლოვნის აზრის მომსმენა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ერთ-ერთ ქვაკუდხედს წარმოადგენს არასრულწლოვანის მიერ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლების გარანტირებულობა. არასრულწლოვანი აუცილებლად უნდა იყოს მოსმენილი. ის ჩართული უნდა იყოს მის მიმართ გადასაწყვეტი საკითხების განხილვის პროცესში. ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის მონაწილეობით განხორციელებული ქმედება უნდა შეესაბამებოდეს მისი აღქმისა და გაგების უნარებს“ - ამკ-ის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილი.

ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში ასახულ ინფორმაციის ბრძანებით დადგენილი წესით შეფასების შემდეგ დგინდება არასრულწლონის ზიანისა და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკები.

ზიანის რისკის განმარტებას ბრძანება შემდეგნაირად ახდენს: „არასრულწლოვნის მიერ საკუთარი თავისთვის ან სხვისთვის ზიანის მიყენების რისკი“. თავის მხრივ, ზიანის რისკის დონე შესაძლებელია იყოს დაბალი, საშუალო ან მაღალი.

იმ შემთხვევაში თუ სოციალური მუშაკი დაადგენს, რომ განმეორებითი დანაშულის ჩადენის ალბათობა მაღალი ხარისხითაა მოსალოდნელი, ის „დაუყოვნებლივ მიმართავს პრობაციის ბიუროს/პრობაციის ოფიცერთა ჯგუფის უფროსს არასრულწლოვანი მსჯავრდებულის ფსქოლოგთან შეხვედრის თაობაზე“.[99]

მულტიდისციპლინური გუნდის მუშაობა მხოლოდ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შედგენით არ შემოიფარგლება. მულტიდისციპლინური გუნდი ასევე ადგენს სასჯელის აღსრულების ინდივიდუალურ გეგმას. ,,სასჯელის აღსრულების

[99]იხ: ბრძანების დანართი N4

ინდივიდუალური გეგმა თანხმდება არასრულწლოვან მსჯავრდებულთან და მის კანონიერ წარმომადგენელთან, რაც დასტურდება გეგმაზე ასრულწლოვანი მსჯავრდებულის და კანონიერი წარმომადგენელის ხელმოწერით. იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანი მსჯავრდებული ან კანონიერი წარმომადგენელი უარს აცხადებს გეგმის ხელმოწერაზე, დოკუმენტში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი ხელმოწერაზე უარის თქმის მიზეზის აღნიშვნით."[100] აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვნის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის უარი ხელის მოწერაზე არ ცვლის შედეგს.

5.5. ინდივიდუალური შეფასების ანგარიში საპატიმრო სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვისას

,,არასრულწლოვნის მოთავსება რომელიმე გამოსასწორებელ დაწესებულებაში ყოველთვის უნდა იყოს უკიდურესი ზომა, რომელიც გამოიყენება მინიმალურად აუცილებელი დროის განმავლობაში."[101] არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთა უნდა იყოს უკიდურესი ზომა. არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის საკითხზე მსჯელობისას თავისუფლების აღკვეთა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა იქნეს გამოყენებული, მაშინ როდესაც სხვა ალტერნატიულ ან მსუბუქ სასჯელს არ შეუძლია სასჯელის მიზნების პრაქტიკული რეალიზება.

საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლით დაცულია ადამიანის თავისუფლება. თუმცა, თავისუფლების უფლება არ არის აბსოლიტური და ის შესაძლებელია შეიზღუდოს სასამართლოს გადაწყვეტილებით. „თავისუფლების აღკვეთა შესაძლებელია, თუ იგი მიზნად ისახავს სპეციფიკური და კონკრეტული სამართლებრივი ვალდებულების შესრულების იძულებას, რომელიც გამომდინარეობს სასამართლოს გადაწყვეტილებიდან ან კანონიდან."[102]

სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება სულ უფრო და უფრო არარელევანტური ხდება. ,,მოსამართლეს დისკრეცია აღარ აქვს, ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის არასრულწლოვანს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდოს, რაც მისასალმებელია, რადგან აღნიშნული სასჯელის შეფარდება

---

[100] მახარობლიზე თ. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში. თსუ იურიდიული ფაკულტეტი, ჟურნალი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები", N1, 2017წ. გვ. 82.

[101]გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის შესახებ (,,პეკინის წესები") წესი 19.1

[102]ტურავა მ. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი 2013წ. გვ. 138. იხ: http://www.library.court.ge/upload/Constitution_Commentary_Human_Rights.pdf ბოლო ნახვა (21/05/2019)

ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის ნამდვილად გადაჭარბებულია. გარდა ამისა, აღნიშნული ჩანაწერი ხელს შეუწყობს ალტერნატიული სანქციების გამოყენებას.“[103]

„ბავშვთა უფლებათა კონვენციის მუხლი 40 (4) - დამნაშავე არასრულწლოვანთა დაწესებულებებში მოთავსებაზე მეტად, ბავშვთა დამნაშავეობაზე რეაგირების მობილურ ფორმებს ანიჭებს უპირატესობას. შესაბამისად, ქვეყნებს რეაგირების ამ ფორმებისთვის სხვადასხვა ალტერნატივის შექმნას მოუწოდებს. შესაძლო ვარიანტებად მიიჩნევა - განათლების მიცემაზე ორიენტირებული ღონისძიებები (მზრუნველობა, მიმართულების მიცემა, ზედამხედველობა, კონსულტაციების გაწევა), მკურნალობა და ტრენინგები; ასევე, მისაღებია პრობაცია, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, დაჯარიმება და აგრეთვე ზარალის ანაზღაურება“.[104]

ერთი მხრივ, მოსამართლისათვის დისკრეციის გაუქმებამ და მეორე მხრივ არასრულწლოვანთა მიმართ ლიბერალური სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის განხორციელებამ შექმნა ტენდენცია, რომლის თანახმადაც არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა სულ უფრო და უფრო იშვიათ შემთხვევებში გამოიყენება.[105]

სტატისტიკის თანახმად, 2012 წელს საქართველოში 475 არასრულწლოვანი მსჯავრდებული იყო, მათგან სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთა 129 არასრულწლოვანს დაენიშნა. 2013 წელს მსჯავრდებული იყო 456 არასრულწლოვანი. თავისუფლების აღკვეთა 117 მათგანს დაენიშნა. 2014 წელს მსჯავრდებული იყო 381 არასრულწლოვანი სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთა დაენიშნა 104 მათგანს. 2015 წელს მსჯავრდებული იყო 292 არასრულწლოვანი მათგან 87 არასრულწლოვანს დაენიშნა სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთა. 2016 წელს მსჯავრდებული 146 არასრულწლოვნიდან სასჯელის ღონისძიების სახედ თავისუფლების აღკვეთა გამოყენებული იქნა 46 პირის მიმართ. 2017 წელს მსჯავრდებული იყო 197 არასრულწლოვანი მათგან 47 არასრულწლოვანს დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა. 2018 წელს მსჯავრდებული იყო 212 არასრულწლოვანი მათგან თავისუფლების აღკვეთა 50 პირის მიმართ იქნა გამოყენებული.[106]

აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანთა უმრავლესობა დანაშაულის ჩადენის მომენტში არც მუშაობდა და არც სწავლობდა. პროცენტულად 2012 წლიდან 2018 წლის

---

[103]მახარობლიძე თ. სასჯელები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, თბილისი 2017წ, გვ. 72.

[104] ვაიდკუნი უ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება და ბავშვთა უფლებები, ნაწყვეტი N6 სასჯელები.

[105]უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური ანგარიში იხ: http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2018-weli-wigni-sisxli.pdf ბოლო ნახვა (21/05/2019)

[106]იქვე, გვ. 83.

ჩათვლით დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვნებიდან იმ არასრულწლოვანთა ოდენობა (რომლებიც არც მუშაობდნენ და არც სწავლობდნენ) მერყეობს 57.9%-დან 80.8%-მდე. აღნიშნული საგანგაშო მაჩვენებელი იძლევა საფუძველს ვარაუდისთვის, რომ არასრულწლოვნისათვის ჭარბი თავისუფალი დროის არსებობა, უმუშევრობა, განათლებაზე ხელმიუწვდომობა პირდაპირ კავშირშია დანაშაულის ჩადენის ფენომენთან.

საპატიმრო სასჯელის დანიშვნისას, ინდივიდუალური გეგმით დადგენილი სტანდარტითა და წესით დგება არასრულწლოვანი მსჯავრდებულის სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმა. ,,[..გეგმის შედგენის მიზანია განმეორებითი დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული ინდივიდუალური რისკისა და საჭიროების შეფასება, არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე არასრულწლოვნის განვითარების შესაბამისი გარემოს შექმნა და შესაბამის სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართვა, მომავალში დანაშაულის ჩადენის ალბათობის შესამცირებლად“..][107].

ბრძანების თანახმად, სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შედგენის მიზნით იქმნება მულტიდისციპლინური ჯგუფი. ჯგუფი სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორის ბრძანებით იქმნება და მის შემადგენლობაში შედიან ფსიქოლოგი, დაწესებულების სოციალური მუშაკი, სამართლებრივი რეჟიმის მოსამსახურე და ექიმი.

მულტიდისციპლინურ ჯგუფს ხელმძღვანელობას უწევს სოციალური მუშაკი - რომელიც ბრძანებაში მოხსენიებულია, როგორც ინდივიდუალური გეგმის კოორდინატორი (შემდგომში - კოორდინატორი).

აღსანიშნავია, რომ კოორდინატორი ახორციელებს მსჯავრდებულის ბიო-ფსიქო-სოციალურ შეფასებას. აღნიშნული შეფასება არის ერთგვარი მექანიზმი, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, რომ შემდგომში სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმა მაქსიმალურად ეფექტიანი, შედეგზე ორიენტირებული და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებზე მორგებული იყოს.

კოორდინატორი ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასების ეტაპზე არაერთ შეხვედრას აწყობს, როგორც მსჯავრდებულთან, ასევე მისი ოჯახის და მულტიდისციპლინური ჯგუფის წევრებთან. საჭიროების შემთხვევაში იგი შეზღუდული არ არის და ნებისმიერ ადამიანთან შეუძლია შეხვედრა არასრულწლოვანზე დეტალური ინფორმაციის მიღების მიზნით.

[107]იხ: საქართველოს იუსტიციის, შინაგან საქმეთა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 15 მარტის N132/N95/N23 ერთობლივი ბრძანება

კოორდინატორი დეტალურად აღწერს მსჯავრდებულის პერსონალურ ინფორმაციას, სამართალდარღვევის დეტალებს, მსჯავრდებულის კრიმინალურ ისტორიას, რაც მოიცავს არასრულწლოვნის მიმართ სამართალდამცავი ორგანოების/სასამართლოს წინარე ზემოქმედების ღონისძიებების ჩამონათვალს, როგორც სისხლისსამართლის ასევე ადმინისტრაციული გადაცდომების საქმეებზე.

შეფასების ეტაპზე დიდი ყურადღება ეთმობა არასრულწლოვნის საცხოვრებელ ადგილს. სოციალური მუშაკი დეტალურად ადგენს თუ სად, რა გარემოში, ვისთან ერთად იზრდებოდა არასრულწლოვანი, მარტო ცხოვრობდა თუ მშობლებთან ერთად, გამხდარა თუ არა არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი.

მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ ოჯახის წევრების შემოსავლების, არამედ მათი საქმიანობისა და ცხოვრების წესის ძირეული შესწავლა. არასრულწლოვანი, რომელიც მოძალადე, კრიმინალური წარსული ან/და მენტალიტეტის მქონე ადამიანებთან იზრდება, განსხვავებულ მოპყრობას საჭიროებს. მისდამი განსხვავებული სოციალური აქტივობები უნდა განხორციელდეს, როგორც სასჯელის აღსრულებისას ასევე საპატიმრო დაწესებულების დატოვების შემდეგ, ყველანაირი ღონისძიება უნდა გატარდეს, რადგან სასჯელაღსრულების დაწესებულების დატოვების შემდეგ არასრულწლოვანი კვლავ იმ ოჯახში არ დაბრუნდეს, რომელმაც მეტწილად განაპირობა მისი კრიმინალური ცხოვრების წესი.

სოციალური მუშაკი ანგარიშში ასახავს არასრულწლოვნის განათლების დონეს, მის მიერ გარემოებების აღქმის დონეს და ამ მიმართულებით განსახორციელებელი ღონისძიებების ჩამონათვალსაც აკეთებს. შემფასებლი არკვევს, ჰქონია თუ არა არასრულწლოვანს სამსახური, ზოგადად რა დამოკიდებულება აქვს არასრულწლოვანს მუშაობისადმი. გააჩნდა თუ არა ოდესმე მუშაობის სურვილი და მის გეგმებს მუშაობასთან დაკავშირებით.

ისევე როგორც სისხლის სამართლის პროცესის სხვადასხვა ეტაპზე შედგენილ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშებში, სოციალური მუშაკი ამ ეტაპზეც იკვლევს არასრულწლოვნის მავნე ჩვევებს. არასრულწლოვნის დამოკიდებულებას ალკოჰოლისადმი, სიგარეტისადმი, აზარტული თამაშებისადმი. ამავდროულად დგინდება მსჯავრდებულის ფიზიკური, ემოციური და მენტალური (ფსიქიკური) ჯანმრთელობა. მთლიანი შეფასების პროცესში დეტალურად აღიწერება, როგორც არასრულწლოვნის დადებითი, ასევე უარყოფითი მახასიათებლები, რაც საბოლოოდ არასრულწლოვანზე ობექტურთან მაქსიმალურად მიახლოებული შეფასების შედგენის საშუალებას იძლევა.

ბრძანების თანახმად, კოორდინატორი მსჯავრდებულთან ერთად შეიმუშავებს სასჯელის მოხდის ინდივიდუალურ გეგმას. მისი შემდგომი საქმიანობა სწორედაც რომ შედგენილი გეგმის შესრულების კონტროლისკენაა მიმართული. გეგმის შესრულებაზე

ზედამხედველობის მიზნით აუცილებელია, რომ სოციალური მუშაკი უზრუნველყოფილ იქნეს მუდმივი ინფორმაციით არასრულწლოვანის ქცევაზე. აღნიშნულ ინფორმაციას სოციალურ მუშაკს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მომუშავე პერსონალი და არასრულწლოვანი მსჯავრდებულის ოჯახის წევრები აწვდიან.

მსჯავრდებულის მიერ, სასჯელის მოხდის ეფექტური გეგმის შემუშავების მიზნით, მულტიდისციპლინური ჯგუფის წევრები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, არასრულწლოვნის შეფასების მიზნით, ქმნიან რეკომენდაციებს, რომელსაც დაუყოვნებლივ უგზავნიან კოორდინატორს.

აღსანიშანავია, რომ ბრძანება ინდივიდუალური გეგმის განხორციელების მაქსიმალურ ვადას 12 თვეს განსაზღვრავს. გეგმის შემმუშავებელი პირები ვალდებულნი არიან, რომ არასრულწლოვანს მხოლოდ იმ აქტივობებში მონაწილეობა და იმ ვალდებულებების შესრულება დააკისრონ, რაც არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესზე იქნება მორგებული და მისი საჭიროებებს ადექვატურად უპასუხებს.

სახელმწიფომ საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი არასრულწლოვანთა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ყოფნის პირობების დამარეგულირებელი ნორმები ამკ-ში ასახა. კოდექსი სახელმწიფოს მთელ რიგ რთულად შესასრულებელ ვალდებულებებს აკისრებს. კერძოდ, ამკ-ის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დასაცავად პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში უნდა იყოს საკმარისი რაოდენობის კვალიფიციური და გადამზადებული პერსონალი (პედიატრი, ექიმი, ექთანი..]", რომლებმაც არასრულწლოვნისათვის უნდა უზრუნველყონ, კანონით გათვალისწინებული, ყველა საჭირო დახმარებისა და მოთხოვნილების მიწოდება.

„პეკინური წესების" 26.1 წესი ადგენს: „გამასწორებელი დაწესებულებებში მოთავსებულ არასრულწლოვნებთან აღმზრდელობითი სამუშაოების მიზანია მეურვეობის, დაცვის განათლებისა და პროფესიული მომზადების უზრუნველყოფა, მათთვის საზოგადოებაში სოციალურად სასარგებლო და ნაყოფიერი როლის შესრულებისათვის დახმარების გაწევის მიზნით."

მსჯავრდებულთა განათლებისა და პროფესიული განათლების ხელშეწყობის უზრუნველყოფაში ჩართულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. სამინისტროს ფარგლებში მოქმედებს ,,ბრალდებული და მსჯავრდებუბლი პირებისათვის განათლების მიღების ხელმისაწვდომობის" პროგრამა. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ორი ქვეპროგრამა: „არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო და ქალთა პატიმრობის ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში არასრულწლოვანთა ზოგადი განათლების ქვეპროგრამა" და „ქ. თბილისის N8 და ქ. ქუთაისი N2 პატიმრობისა და დახურული

ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში არასრულწლოვანთა ზოგადი განათლების უზრუნველყოფის ქვეპროგრამა“.[108]

ასევე მნიშვნელოვანია, მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა სრულწლოვანთაგან განცალკევებით მოთავსება, რათა თავიდან იქნეს აცილებული არასრულწლოვნებზე შესაძლო ფიზიკური და მორალური ზეწოლები. ამკ-ის 81-ე მუხლის თანახმად სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ განცალკევებით მოთავსდნენ როგორც ბრალდებული და მსჯავრდებული არასრულწლოვნები, ასევე მდედრობითი სქესის და მამრობითი სქესის არასრულწლოვნები. არასრულწლოვანთა ასაკის მიუხედავად დაუშვებელია განსხვავებული სქესის არასრულწლოვანთა ერთსა და იმავე სივრცეში მოთავსება.

ამკ-ით არასრულწლოვან მსჯავრდებულებს გარანტირებული აქვთ უფასო მკურნალობის უფლება, მუშაობის და შესაბამის ანაზღაურების მიღების უფლება. 86-ე მუხლის თანახმად არასრულწლოვანი მსჯავრდებული უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყოველდღიური გასეირნებითა და სპორტულ ღონისძიებებში ჩართულობით.

ზოგადად, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და სპორტის პოპულარიზაცია მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი პრიორიტეტია. სპორტში აქტიურად ჩართული არასრულწლოვანი ნაკლებად შეიძლება გახდეს კანონდამრღვევი. არასრულწლოვანთა სპორტში ჩართულობა მნიშვნელოვანია, როგორც დანაშაულის ზოგადი პრევენციისათვის, ასევე კერძო პრევენციის წარმატებით განსახორციელებლად.[109]

საპატიმრო სასჯელის დანიშვნისას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შედგენა მნიშვნელოვანია ოპტიმალური, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებზე მორგებული სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის უზრუნველსაყოფად. ინდივიდუალური შეფასების ანგარიში უზრუნველყოფს კონკრეტული არასრულწლოვნის პიროვნებიდან გამომდინარე აუცილებლად განსახორციელებელი სოციალური/საგანმანათლებლო/სპორტული აქტივობების ზუსტ განსაზღვრას, რაც თავის მხრივ არასრულწლოვნის რესოციალიზაცია/რეაბილიტაციაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

---

[108] ,,ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისათვის განათლების ხელმისაწვდომობის“ პროგრამა :https://www.mes.gov.ge/content.php?id=5874&lang=geo ბოლო ნახვა (01/06/2019)

[109] ვარძელაშვილი ი. „სასჯელის მიზნები“ სადისერტაციო ნაშრომი, უნივერსიტეტის გამოცემა, თბილისი 2016, გვ. 196.

5.6. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის გამოყენების კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას

ამკ-ის 27-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად: „ინდივიდუალური შეფასების ანგარიში საჭიროებისამებრ გაითვალისწინება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ნებისმიერ სტადიაზე“. ამავდროულად, ამავე მუხლში გაკეთებულია დასკვნა, რომლის თანახმადაც, ყოველი მომდევნო ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადებისას გათვალისწინებული უნდა იყოს წინა ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში არსებული ინფორმაცია. კოდექსის ჩანაწერი შესაძლებლობას იძლევა, რომ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხზე მსჯელობისას, ბრალდებული არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების ანგარიში შედგეს, რაც როგორც სახელმწიფო ბრალდებას, ასევე სასამართლოს გაუადვილებს ადეკვატური აღკვეთის ღონისძიების სახისა და ზომის მოთხოვნასა და შეფარდებას.

ამკ დამოუკიდებლად არ განსაზღვრავს არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების განსხვავებულ საფუძვლებსა და მიზნებს, შესაბამისად აღკვეთის ღონისძიების მიზნებისა და საფუძვლების მსჯელობისას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით უნდა იხელმძღვანელოს, როგორც მხარემ, ასევე არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შემფარდებელმა მოსამართლემ. თუმცა, ამკ ადგენს აღკვეთის ღონისძიებათა შედარებით განსხვავებულ ჩამონათვალს და გარკვეულ შემთხვევებში, განსხვავებულ ვადებს, როგორც მათი ხანგრძლივობის, ასევე გადასინჯვის თვალსაზრისით.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება იმ მიზნით, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველია დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს.

ამკ-ის მე-60 მუხლის 1-ლი ნაწილი ადგენს: „არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით შეიძლება გამოყენებული იქნას მეთვალყურეობაში გადაცემა, შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, პირადი თავდებობა, გირაო, პატიმრობა“.

„კოდექსი არასრულწლოვნის განსაკუთრებული ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, აყალიბებს სპეციფიკურ მიდგომას მის მიმართ ორიენტირებული არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებზე. შესაბამისად, ყველა

შესაძლო შემთხვევაში ხაზგასმულია, რომ უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში მიიღება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები“.[110]

პროფესორი მ.შალიკაშვილი არასრულწლოვნისადმი პატიმრობის გამოყენების საკითხზე მსჯელობისას აღნიშნავს: „გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლის ,,ბ“ ქვეპუნქტის მსგავსად, ამკ-ის 64-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ჩანაწერი, მიუთითებს, რომ არასრულწლოვანი ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ „უკიდურეს ზომად“ და თუ სხვა ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენება შეუძლებელია მოზარდის პიროვნების, მისი კრიმინალური ენერგიის გამო და ვერ უზრუნველყოფს მის სათანადო ქცევას“.[111]

არასრულწლოვნის მიმათ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხზე მსჯელობისას, პირველ რიგში უნდა დასაბუთდეს თუ რა აუცილებლობითაა გამოწვეული პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება და მხოლოდ შემდეგ უნდა მოხდეს აღკვეთის ღონისძიების კონკრეტულ სახეზე მსჯელობა. ამკ-ის 27-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, ინდივიდუალური შეფასების შემდგენი პირი ინდივიდუალური შეფასების პროცესში შეისწავლის არასრულწლოვნის განვითარების დონეს, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობებს, ამავდროულად ანგარიშში აისახება არასრულწლოვნის განსაკუთრებული საჭიროებები, დანაშაულის/ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის რისკი და, შესაბამისად, არასრულწლოვნის სათანადო განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობისათვის რეკომენდირებული ღონისძიებები. არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების ანგარიში არასრულწლოვნის პიროვნების, ხასიათის, მსოფლმხედველობის კარგად აღქმის შესაძლებლობას იძლევა. იმ შემთხვევაში თუ არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო არასრულწლოვნის ინდივიდუალურ შეფასების ანგარიშს გამოიყენებს, არასრულწლოვნისადმი შეუსაბამო აღკვეთის ღონისძიების სახისა და ზომის გამოყენების ალბატობა მინიმუმამდე დაიწევს.

,,სტრასბურგის სასამართლოს განმარტებით, კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ერთმნიშვნელოვნად მოითხოვს, რომ სასამართლოებმა ინდივიდუალურად განიხილონ თითოეული ბრალდებულისათვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების აუცილებლობის საკითხი და შეაფასონ ინდივიდუალური გარემოებები, რათა თავიდან

---

[110]იმერლიშვილი ი. ,,არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების საკითხი ეროვნული კანონმდებლობის, სასამართლო პრაქტიკისა და ევროპული სტანდარტების ანალიზის მიხედვით“ ჟურნალი ,, მართლმსაჯულება და კანონი“ N1 2018 წ. გვ. 28.

[111]შალიკაშვილი მ. ,,არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება ქართული სისხლის სამართლის მიხედვით.“ გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი. გვ. 23. იხ: http://www.dgstz.de/storage/documents/LpISisA2JEZcb3F1i9FhteuYZp96IBFaq3xgFA7j.pdf ბოლო ნახვა (01/06/2019)

იქნეს აცილებული ერთიანი და შესაბამისად, წინასწარ მომზადებული სტანდარტის გამოყენება ყველა ბრალდებულთან მიმართებაში“.[112]

ანგარიშის დახმარებით სასამართლო სრულყოფილად შეაფასებს არასრულწლოვნისგან მომდინარე საფრთხეებს. თავის მხრივ, მხარესაც გაუადვილდება არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახის მოთხოვნის დასაბუთება. არასრულწლოვნისადმი ინიდივიდუალური მიდგომისა და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი ცალსახად იქნება დაცული, მაგრამ, შესაძლოა ყველა შემთხვევაში მაინც ვერ მოხდეს ინდივიდუალური შეფასების გამოყენება. არასრულწლოვნის დანაშაულზე წასწრების შემთხვევაში მისი სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომის გამართვამდე ფიზიკურად ვერ მოესწრება ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შედგენა. შესაძლებელია ანგარიშის შედგენა დაუყოვნებლივ დაიწყოს და მისი დასრულებისთანავე გადაიხედოს უკვე შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის საკითხი იმ დათქმით, რომ შედგენილი ინდივიდუალური შეფასების ანგარიში უზრუნველყოფს სასამართლოს მიერ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების ბრალდებული არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების სასარგებლოდ შეცვლას.

6. დასკვნა:

გადაჭარბებული შეფასება არ იქნება თუკი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობის შექმნა თანამედროვე ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ გამარჯვებად იქნება აღიარებული. სოციალური სახელმწიფოს იდეაც სწორედ, რომ სახელმწიფოს მიერ თავისი მოქალაქეებისა და, განსაკუთრებით, არასრულწლოვანთა საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემაში მდგომარეობს.

იმისათვის, რომ ნებისმიერი სოციუმი განვითარდეს, გახდეს უფრო წარმატებული, ძლიერი, შემწყნარებელი, პირველ რიგში, საჭიროა ახალგაზრდა თაობისათვის უკეთესი საცხოვრებელი პირობების შექმნა და უკეთესი ხვალინდელი დღის შეთავაზება. კეთილდღეობა და სოციალური თანასწორობის მიღწევა შეუძლებელია არასრულწლოვნების მიმართ განსაკუთრებული მიდგომის გარეშე.

არასრულწლოვნები საკუთარი ფიზიკური, გონებრივი თავისებურებებიდან გამომდინარე ბუნებრივად წარმოადგენენ განვითარების დინამიკურ სტადიაში მყოფ ადამიანებს. სახელმწიფო ვალდებულია, რომ ბავშვებს შესთავაზოს იმაზე მეტი ვიდრე მას სრულწლოვანი ადამიანებისთვის შეუძლია. ჩვენმა სახელმწიფომ არასრულწლოვანთა უფლებების დაცვა სახელმწიფო პრიორიტეტად გამოაცხადა.

[112]ხაინდრავა ნ., ბოხაშვილი ბ., ხიდაშელი თ., წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა სამართლის ანალიზი, 2010წ, გვ. 67.

ძალადობრივი მეთოდებით არასრულწლოვანთა დანაშაულის აღმოფხვრა პრაქტიკულად შეუძლებელია. აღნიშნული დაადასტურა, როგორც საერთაშორისო ისე შიდასახელმწიფოებრივმა გამოცდილებამ. არასრულწლოვანთა დანაშაულის აღმოფხვრა შესაძლებელია არასრულწლოვნებისადმი ინდივიდუალური მიდგომითა და ინდივიდუალური მახასიათებლებიდან გამომდინარე, ყველა შემთხვევის დროს განსხვავებული და ამავე დროს არასასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესებზე მორგებული ღონისძიებების გატარებით.

როგორც ნაშრომის საფუძველზე დადგინდა, არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომის პრინციპი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ქვაკუთხედს წარმოადგენს, რამაც მთლიანად მოიცვა არაასრულწლოვანთა მართლმსაჯულება და ამ პრინციპის გარშემო ააგო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ყველა ინსტიტუტი. მნიშვნელოვანია, რომ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთან ბრძოლას სახელმწიფო კომპლექსურად მიუდგა. ფუნქციონირებს დანაშაულის პრევენციის სხვადასხვა პროგრამები, კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების მიმართ შეძლებისდაგვარად გამოიყენება ყველაზე მსუბუქი სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიებები. აუცილებელია არსებული სისტემის უფრო მეტად დახვეწა და დანაშაულის წარმომშობი მიზეზების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება.

ბიბლიოგრაფია

სამეცნიერო ლიტერატურა:

1. ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება კანონმდებლობის კვლევა, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2017;

2. ვაიდკუნი უ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება და ბავშვთა უფლებები, ნაწყვეტი N6 სასჯელები;
3. ვაიდკუნი ურსინა, მართლმსაჯულება ბავშვებისათვის, საუნივერსიტეტო კურსი, საკითხავი მასალა სტუდენტებისათვის, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2013;

4. ვარძელაშვილი ი. არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნა (სასამართლო პრაქტიკის ანალიზი). არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, ,,გამომცემლობა მერიდიანი“ თბილისი, 2017;
5. ვარძელაშვილი ი. „სასჯელის მიზნები“ სადისერტაციო ნაშრომი, უნივერსიტეტის გამოცემა, თბილისი, 2016;
6. ვარძელაშვილი ი. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უმნიშვნელოვანესი პრინციპის მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკაში, ჟურნალი სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N1, 2017;
7. თოდუა ნ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, (მეორე გამოცემა) ავტორთა კოლექტივი, გამომცემლობა: „მერიდიანი“, თბილისი 2016;
8. ივანიძე მ. არასრულწლოვანი და მისი საუკეთესო ინტერესები, არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, ,,გამომცემლობა მერიდიანი“ თბილისი, 2017;

9. იმერლიშვილი ი., ,,არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების საკითხი ეროვნული კანონმდებლობის, სასამართლო პრაქტიკისა და ევროპული სტანდარტების ანალიზის მიხედვით“ ჟურნალი ,,მართლმსაჯულება და კანონი“ N1, 2018;
10. ლეკვეიშვილი მ. სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი #4(43)14;
11. მახარობლიძე თ. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაშიივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტი ჟურნალი: სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, 2017;

12. მახარობლიძე თ. სასჯელები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასმართლო პრაქტიკა გამომცემლობა ,,მერიდიანი“ თბილისი, 2017;
13. ნევნა ვუჩკოვიჩ შაჰოვიჩი, დოეკი იააპ ე., ცერტმანი ჟან. , ,,ბავშვის უფლება საერთასორისო სამართალში“ , თსუ, 2015;
14. სტეფანი რაჰი, აიდა ვეჯერსი, არასრულწლოვანთა სასამართლო პროცესში ბრალდებულთა მონაწილეობის პედაგოგიური პერსპექტივა, AIMJF-ის (ახალგაზრდულ და საოჯახო საქმეებზე სპეციალიზირებულ მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაცია);
15. ტურავა მ. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, 2013;
16. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, შენიშვნები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსზე, ჟურნალი სამართალი და მსოფლიო, N2, 2015;
17. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში-ისტორიული, სამართლებრივი ასპექტები და დანიშვნის თავისებურება, ჟურნალი სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, თბილისი, 2017;
18. ქეროლინ ჰამილტონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, 2015;
19. შალიკაშვილი მ. ,,არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება ქართული სისხლის სამართლის მიხედვით.“ გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი;
20. შალიკაშვილი მ. არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები. თბილისი, 2013;
21. შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი 2016;
22. შალიკაშვილი მ., ჩიხლაძე დ. პირობით ვადამდე გასათავისუფლებელი მსჯავრდებულებისათვის რისკ-ფაქტორების შეფასების კრიმინოლოგიური ანალიზი, თბილისი/ბერლინი, 2013;
23. შეყილაძე ხ. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის არსი, თსუ, იურიდიული ფაკულტეტი , სამართლის ჟურნალი N2, უნივერსიტეტის გამოცემა, 2016;
24. ხაინდრავა ნ., ბოხაშვილი ბ., ხიდაშელი თ., წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა სამართლის ანალიზი, 2010;
25. ხერხეულიძე ი., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში არსებული პრევენციის დონეები და შერჩეული ინტერვენციების ეფექტურობა, ივანე

ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტი ჟურნალი: სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, 2017.
26. TORE BJQORGO, PREVENTING CRIME: A HOLISTIC APPROACH, EDITION: 1, 2016

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჰულების კოდექსი;
2. საქართველოს იუსტიციის, შინაგან საქმეთა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 15 მარტის N132/N95/N23 ერთობლივი ბრძანება;
3. საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, 2010;
4. საქართველოს კონსტიტუცია, 1921 წელი;
5. საქართველოს კონსტიტუცია;
6. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
7. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
8. UN General Assembly, United Nations Standard Minimum Rules for Non-Custodial Measures (The Tokyo Rules): resolution / adopted by the General Assembly, 2 April 1991, A/RES/45/110.
9. UN General Assembly, Convention on the Rights of the Child, 20 November 1989, United Nations, Treaty Series, vol. 1577;
10. UN General Assembly, United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice ("The Beijing Rules"): resolution / adopted by the General Assembly, 29 November 1985, A/RES/40/33;
11. United Nations Guidelines for the Prevention of Juvenile Delinquency (THE RIYADH GUIDELINES) 45/112.

სასამართლო გადაწყვეტილებები:

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2015 წლის 25 თებერვლის განჩინება N1გ/178-15;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 23 მარტის განაჩენი, საქმე N1/ბ-165-16;
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 23 თებერვლის განაჩენი, საქმე N1/ბ-118-17.

დამხმარე მასალები:

1. ,,ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისათვის განათლების ხელმისაწვდომობის“ პროგრამა, https://www.mes.gov.ge/content.php?id=5874&lang=geo;

2. კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებული საერთაშორისო და ევროპული საკანონმდებლო ჩარჩო, Ministry of Foreign Affairs of the Netherlands, http://phf.org.ge/uploads/publications/5c861293048a1.pdf;
3. ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N10 (2007);
4. გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ, ,,პეკინური წესები“, ნაწილი ორი;
5. განმარტებითი ბარათი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პროექტზე, 2015;
6. განმარტებითი იურიდული ლექსიკონი, http://gil.mylaw.ge/ka/post/54.html;

7. განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამა 2015 წლის ანგარიში, http://ganrideba.ge/res/files/52/Diversion%20Report_2015.pdf;
8. გენერალური პროკურორის ანგარიში 06/02/2018, http://pc.gov.ge/Multimedia%2FFiles%2F%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%2F%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%206.02.2018.pdf;
9. დანაშაულის პრევენციის ცენტრის მეორე დონის სამმართველოს მისია, http://prevention.gov.ge/page/2353/geo;
10. ევროპის საბჭოს სტრატეგია ბავშვთა უფლებების შესახებ (2016-2021) https://www.moh.gov.ge/uploads/files/oldMoh/01_GEO/socialuri_dacva/Bavshvta-STRA/GE1.pdf;
11. პროფ. მ. შალიკაშვილის ინტერვიუ ჟურნალ ,,ლიბერალთან“ იხ: http://liberali.ge/news/view/11974/kriminologi-moris-shalikashvili-amnistirebulta-riskfaqtorebs-unda-afasebdnen-video;
12. საერთო სასამართლოების ძირითადი სტატისტიკური მონაცემები, 2008-2019წ. http://www.supremecourt.ge/statistics/;
13. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის N181 ბრძანება „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“;
14. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 თებერვლის N120 ბრძანება „არასრულწლოვნის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის

პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ“;
15. საქართველოს იუსტიციის, შინაგან საქმეთა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 15 მარტის N132/N95/N23 ერთობლივი ბრძანება;
16. სისხლის სამართლის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგია 2015 წ;
17. სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის მიზანი, 2012;
18. უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური ანგარიში, http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2018-weli-wigni-sisxli.pdf;
19. Delinquency prevention/ effective programs, https://www.ojjdp.gov/MPG/Topic/Details/79.